ა(ა) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნეს

ადმინისტრირების ფაკულტეტი

ნანა ფევაძე

ფინანსური წიგნიერების ადგილი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებასა და დღევანელ საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმღვანელი: ასისტენტ - პროფესორი

სონია ჩეჩელაშვილი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

საზოგადოების ფინანსური წიგნიერება ყველა ეპოქაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკური, ფინანსური განვითარებისა და სტაბილურობის საქმეში. საქართველოს არცერთი დიდი კლასიკოსი და საზოგადო მოღვაწე არ ჰყოლია, საკუთარ შემოქმედებაში ყურადღება რომ არ გაემახვილებინოს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. მათი შემოქმედების გარკვეული ნაწილი ყოველთვის ეთმობოდა საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენების აღწერას და პრობლემების გამოკვეთას, რომელთა მოგვარების გზა მათი არსებულიმდგომარეობის გამოსწორებას, ან ხშირ შემთხვევაში კრიტიკას უკავშირდებოდა.

დღეისათვისაც საკმაოდ აქტუალურია ეს პრობლემა. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, რომელიც დიდ წილად ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის შიდა ეკონომიკურ, გაჯანსაღებას, რაშიც საზოგადოებას უმნიშვნელოვანესი პოზიტიური როლის თამაში შეუძლია. საზოგადოების ფინანსური წიგნიერების დონესა და ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის არსებობს დადებითი კორელაცია, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინდივიდის ფინანსური გადაწყვეტილება და ეკონომიკური ქცევა ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსურ სტაბილურობაზე. სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ ქვეყნის მდგრად და გრძელვადიან ეკონომიკურ კეთილდღეობას საზოგადოების ფინანსური წიგნიერების დონის ამღლების გარეშე.

აქედან გამომდინარე, ჩემი ნაშრომი ეხება ფინანსური წიგნიერების მიმართულების განხილვას ისტორიულ წარსულში, ფინანსების არსის სიღრმისეულ გააზრებას და მის როლს დღევანდელი საზოგადოების განვითარების ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

ANNOTATION

Financial literacy of the public played an important role in the economic, financial and stability development of the country in every epoch. There were no great classics and public figures in Georgia who did not pay attention to this very important issue. Some of their creations have always been dedicated to the description of the current economic and political events in the society and the resolving of the problems, the way of solving was to correct their existing situation, or in most cases criticism.

Currently this problem is quite relevant. Against the background of ongoing economic problems in Georgia, which are largely related to the economic and political problems in the country, special attention should be paid to recovering the country's internal economy, in which society can play a very important positive role.

There is a positive correlation between the level of financial literacy of the society and the economic prosperity of the country, As a result of a market economy a individual's financial decision and his economic behavior have a significant impact on a country's economy and its financial stability.. State institutions can not provide sustainable and long-term economic well-being without raising the level of financial literacy of the public.

Therefore, my work deals with the discussion of financial literacy in the historical past, In-depth understanding of the essence of finance, its role in the development of modern society and the improving level of life.

სარჩევი

შესავალი----------5

თავი 1. ფინანსების წარმოშობა და განვითარება

1.1 ფინანსების არსი, მისი გაგების სხვადასხვა ინტერპრეტანცია ----------6

1.2 ფინანსური წიგნიერების პრობლემა საქართველოს მოსახლეობაში და საზოგადოებისფინანსურიგანათლებისდაბალიდონე----------15

1.3 დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ისტორია ----------17

თავი 2. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დამოკიდებულება ფინანსურ წიგნიერებასთან

2.1საზოგადოების ფინანსური წიგნიერების ადგილი და მნიშვნელობა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში ----------23

2.1.1 შოთა რუსთაველი და მისი დამოკიდებულება სიმდიდრესთან----------27

2.1.2 სულხან - საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები----------30

2.1.3ილია ჭავავაძის ეკონომიკური შეხედულებანი----------35

2.1.4 აკაკი წერეთელი და შეხედულებები ეკონომიკაზე----------51

2.1.5 ერეკლე II-ის ეკონომიკური კონცეფციები----------53

2.1.6 გ. წერეთელი სოფლისა და ქალაქის დისპროპორციის შესახებ----------56

2.1.7 ეკონომიკური აზროვნების ტრანსფორმაცია ფილიპე გოგიჩაიშვილთან---------61

2.1.8 მხატვრული და ეკონომიკური დისკურსის კორელაცია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში----------65

თავი 3. დამოუკიდებელი კვლევა საზოგადოების ფინანსური წიგნიერებისმდგომარეობის შესახებ

3.1 მზადება კვლევისათვის ----------68

3.2 კვლევის ჩატარების ანგარიში და მიღებული შედეგების ანალიზი----------69

დასკვნა ----------74

გამოყენებული ლიტერატურა----------76

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა - დღეისათვის, საქართველოში ფინანსური მწიგნობრობის განვითარება მეტად აქტუალურია, რაც გამომდინარეობს ეკონომიკური თვალსაზრ-ისით მოსახლეობის ცხოვრების დონის მზარდი მოთხოვნილებებიდან და უფრო და უფრო მეტიშემოსავლების მიღებიდან, რაც მოწესრიგებული ცხოვრების ერთ-ერთი წინაპირობაა.ზუსტად ეს მდგომარეობა აიძულებს საზოგადოებასფინან-სურიგანათლებისდონისამაღლებამ შეიძინოს განსაკუთრებულიმნიშვნელობა.

ფინანსურიგანათლება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო მაშტაბით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში. თითოეულის მზადყოფნა, მართოს პირადი ფინანსები,უმეტესწილად განსაზღვრავს ჩვენს ფინანსურ სტაბილურობას და წარმატებას.

რამდენადაც ფინანსური განთლების გაუმჯობესების მთავარი მიზანია ადამიანებმა შეძლონ ბაზარზე არსებული შემოთვაზებების უფრო რაციონალური შეფასება, შედეგის სახით, არასაჭირო ხარჯებისა და გაუმართლებელი რისკების თავიდან აცილება, აგრეთვე მიიღონ უფრო გონივრული გადაწყვეტილებები საბოლოო ჯამში, აღნიშნული ამოცანის განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც ინდივიდების, ისე მათი ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.ფინანსური განათლების პირობებში ადამიანები უფრო მეტად და გონივრულად გამოიყენებენ ფინანსურ სერვისებს, რაც გაზრდის მათი ფინანსური ჩართულობის დონეს მსოფლიო ფინანსურ სივრცეში; ამასთან, მათ მიეცემათ მათ შსაძლებლობა,ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შემოთავაზებები უფრო ხელსაყრელ ფასებად მიიღონ და შემცირდება სხვადასხვა წამგებიან ტრანზაქციებში ჩართვის ალბათობა, მათშორის, ფინანსური თაღლითობის სქემებში გახვევის რისკიც.

კვლევის მიზანი და ამოცანები - სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანი მისი საქართველოში პრობლემურ საკითხად მიჩნევის მდგომარეობიდან გამომდინარეობს, რადგან ფინანსური წიგნიერება ეს ის თემაა, რომლიც საჭიროებს პოპულარიზაციას მოსახლეობაში და ცოდნის ამაღლებას, რითაც საბოლოო ჯამში გაუმჯობესდება

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი გარანტია საზო

თავი 1. ფინანსების წარმოშობა და განვითარება

1.1 ფინანსების არსი, მისი გაგების სხვადასხვა ინტერპრეტანცია

ფინანსები, როგოერც ურთიერთობა კაცობრიობის გენიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია.ადამიანთა საზოგადოების ყველა ეპოქის სამეურნეო მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ელემენტს ყოველთვის წარმოადგენდა ფინანსები, რომლის არსი,მათი განვითარების კანონზომიერებანი,სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა მათ მიერ მოცული სფერო, საზოგაოების კვლავწარმოების პროცესის მართვის შეუცვლელი ბერკეტია. ფინანსების როლი განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური სისტემით,სახელმწიფოს ბუნებითა და ფუნქციებით.

ფინანსები (finance) არის მეცნიერება იმის შესახებ,ადამიანებმა თუ რა გზით უნდა მართონ დეფიციტური ფულადი რესურსების ხარჯვა და შემონატანი დროის გარკვეულ პერიოდში. [Боди З., Мертон Р., Финансы. пер. с анг.. Издательский дом «Виль- ямс», М. С-ПБ., Кисв, 2000, стр. 38.]

საზოგადოების ან მისი ნებისმიერი წევრის მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილება ხორციელდება საფინანსოსისტემის დახმარებით. რომელიც წარმოადგენს ბაზრებისა და სხვა ინსტიტუტების ერძთობლიობას და გამოიყენება ფინანსური გარიგებების,აქტივების გაცვლისა და რისკის მართვის პროცესში. საფინანსო სისტემა მოიცავს: აქციების,ობლიგაციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრებს , საფინანსო შუამავლებს (ბანკებს, სადაზღვეო კომპანიებს), საფინანსო მომსახურების ფირმებს და ყველა მათთვის განკუთვნილ დაწესებულებათა მარეგულირებელ ორგანოებს.

ფინანსები შეისწავლის სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემებში ცენტრალიზებული და დეცენტრიზებული ფულადი ფონდების შექმნის,განაწილებისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილ ეკონომიკურ ურთიერთობებს,განსაკუთრებით ფულადი რესურსების უკმარისობის დროს.

ფინანსები არის ფულად ურთიერთობათა სისტემა იმ ფონდების ფორმირებისა და გაოყენების შესახებ, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად.ამასთან, ფინანსები დამახასიათებელია არა მარტო სახელმწიფო ორგანოებისათვის,როგორც ეროვნული მეურნეობის სუბიექტებისათვის,არამედ ფირმებისა და საწარმოებისათვის,რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მატერიალური დოვლათის წარმოება და საქონლური ნაკადების ფორმირება.

ეროვნული მეურნეუბის ყველა სუბიექტის საქმიანობის გადაკეთა წარმოებს ფინანსურ ბაზარზე. ფინანსური ბაზარი სხვა არაფერია, თუ არა ფინანსური ინსტრუმენტებით ან აქტივებით ვაჭრობის სისტემა.

ფინანსები არ მიეკუთვნება ზუსტ მეცნიერება ,არც ხელოვნების სფეროა, რომლის შესწავლაც სამყაროს შეცნობის მიზნით წარმოებს და შინაგან სიმეტრიულობას, ლოგიკურობასა და მშვენიერებას წარმოაჩენს.ფინანსების,როგორც მეცნიერების სარგებლიანობა სამეურნეო საქმიანობის მრავალი პრობლემის გადაჭრაში გამოიხატება,რომელთა საბოლოო მიზანია მოგების მაქსიმიზაცია. შეიძლება ამ აზრთან დამოკიდებულებით შევედაოთ ფინანსების არსის წარმომჩენ ავტორს და დავამატო ჩემეული გაგება, რომ თუ ფინანსების გარეშე ვერ უზრუნველყოფთ მართვას, მოწესრიგებული მართვა თავისდათავად აღიარებულია ხელოვნებად, ამიტომ ფინანსების მართვის უნარიც ერთგვარი ხელოვნებაა, რომელმაც სამყარო უნდა შეიმეცნოს თავისებური ფინანსური სიმეტრიულობით და ყველა იგრძნობს იმ მშვენიერებას, რისი მოტანაც შეუძლია ფინანსურ სტაბილურობას (**ხაზგასმა ნ.ფ.**)

ფინანსები წარმოადგენს სისტემას, (ფულად) ურთიერთობას, რომელიც ჩამოყალიბებულია ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული პროდუქტისა და ეროვნულინსიმდიდრის ნაწილის ღირებულების განაწილებისა და გადანაწილების პროცესში,სამეურნეო სუბიექტებისა და სახელმწიფოს ფულადი შემოსავლების და მოგების (დაგროვების) ფორმირებასა და მათი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად გამოყენების მიზნით.

ფინანსების არსის, მისი წარმოშობის ობიექტურობის და აუცილებელი ფუნქცი-ონირების შესწავლის გარეშე შეუძლებელი ფინანსების როლის გარკვევა.

პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ისტორიულ სტადიაზე ადგილი ჰქონდა შრომის დანაწილებას. პირველად პირველყოფილ ტომებს გამოეყო მეცხოველეობაში დასაქმებული ტომები, ხოლო შემდეგ-სოფლის მეუნეობას გამოეყო ხელოსნობა. შრომის ეს ორი საზოგადოებრივი დანაწილება გახდა დამატებითი პროდუქტის შექმნის წყარო, რომელიც გამიზნული იქნა გასაცვლელად. თავდაპირველად მას სპონტანური ხასიათი გააჩნდა,ხოლო შემდგომში-თანდათანობით გაცვლას რეგულარული ხასიათი მიეცა. საქონლის გაცვლის განვითარებას თან მოჰყვა საყოველთაო ეკვივალენტის-ფულის გაჩენა. აღსანიშნავია, რომ კაცობრიობას ფულის გაჩენაზე უფრო დიდი აღმოჩენა არ გაუკეთებია. მან სულ ადვილად გადაწყვიტა საქონელგაცვლის წინააღმდეგობანი. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მთავარია არა ფულის არსისა და ფუნქციების გარკვევა,არამედ იგი გვაინტერესებს ფინანსებთან მიმართებაში.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ტერმინს- „ფინანსებს“ფულთან აიგივებენ და მის სინონიმად მიაჩნიათ,მაგრამ ეს ასე არ არის.სნამდვილეში ჩვენ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ეკონომიკურ კატეგორიასთან,ორ ეკონომიკურ ბერკეტთან,რომლებიც გაოხატავს ორ სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენას. ამის გამო,არასწორია „ფინანსების“გაიგივება ‘ფულად რესურსებთან“ თუმცა ფინანსების არსებობა-ფუნქციონირება ფულის გარეშე წარმოუდგენელია.

საქონელმიმოქცევის განვითარების პროცესში საფუძველი ჩაეყარა კერძო საკუთრების წარმოშობის პირობებს. პირველყოფილი თემური საზოგადოების დაშლის ბაზაზე შეიქმნა მონათმფლობელური სახელმწიფო. დაიწყო ერთ მხარეზე ფულზე მოთხოვნის ზრდა, რამაც ხელი შეუწყო მეორე მხარეზე მევახშეობის განვითარებას. შრომის მესამე დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ -ვაჭართა კლასის წარმოქმნამ, კიდევ უფრო განავითარა მევახშეობა. ფულმა საყოველთაო ეკვივალენტისა და მიმოქცევის ფუნქციის პარალელურად შეიძინა სხვისი შრომის მითვისების ფუნქცია და გადაიქცა კაპიტლად.

ამრიგად,საქონლის,ფულისა და კრედიტის წარმოშობა დაკავშირებულია პირველ-ყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესთან. ჩვენთვის საინტერესოა ფინანსების წარმოშობა,რაც პირველ კლასობრივ საზოგადოებასთან -მონათმფლ-ობელობასთან არის დაკავშირებული.

მონათმფლობელური სახელმწიფოს ხელისუფლება მონათმფლობელთა კლასისგან დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად მოითხოვდა სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებას, რის გამოც აუცილებელი გახდა შემოსავლის წყაროების გამონახვა.პირველი ასეთი წყარო გადასახადები იყო. ამრიგად, მონათმფლობელ-ურმა საზოგადოებამ კაცობრიობას მისცა სახელმწიფო ფინანსები, რაც წინა, უკლასო საზოგადოებისათვის უცნობი იყო. „ადამიანთა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაწილი გადაიქცა ფინანსურ ურთიერთობებად.ეს ურთიერთობანი მოგვევლინენ იმ კავშირთა და ურთიერთობათა შედეგად, რომლებიც დამყარდნენ ფულის წარმოშობის , საზოგადოების სახელმწიფოს ფორმით ჩამოყალიბებისა და სხვა იძულებითი ორგანიზაციების გაჩენის შემდეგ.

ტერმინი ,,ფინანსები" წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან "Finansia", რაც ნიშნავს შემოსავალს, გადასახადს. ეს ტერმინი ძველი ლათინური „figo" – „გავყოთ". დასასრულ, გვიანდელი „finis" დამთავრებას, საზღვარს , ბოლოს ნიშნავდა.

პირველად თავისი ნამდვილი მნიშვნელობით „ფულადმა გადასახადმა" გამოყენება ჰპოვა XII საუკუნის იტალიაში, როდესაც იტალიის ქალაქები - გენუა, ფლორენცია და ვენეცია ევროპის უმსხვილესი სავაჭრო და საბანკო ცენტრებს წარმოადგენდნენ. XVI საუკუნის გერმანიაში ტერმინმა :ფინანსები" ძირითადი მნიშვნელობის -ფულადი გადასახადების პარალელურად მიიღო გამომძალველობის, თაღლითობის მნიშვნელობაც.

XVI საუკუნეში საფრანგეთში ტერმინმა "finance" მიიღო სახელმწიფო ქონების ერთობლიობის შინაარსი.

საყურადღებოა, რომ ესპანეთში ფინანსების გაგებით გამოიყენებოდდა ტერმინი „haciende", რაც არაბული "chasena" დან წარმოიშვა.გვიანდელ შუა საუკუნეებში

საქართველოში ფართოდ ცნობილი „ხაზინა“ არაბული წარმოშობისაა. XII საუკუნიდან საქართველოში „ხაზინის“ შემოღებამდე ხმარებაში იყო „საჭურჭლე“, ხოლო დღევანდელი გაგებით ფინანსთა მინისტრს „,მეჭურჭლეთუხეცესი“ ეწოდებოდა.

როგორც აღინიშნა,ფინანსები, როგორც ისტორიული კატეგორია, წარმოიშვა სახელმწიფოს შექმნის პარალელურად, როდესაც საზოგადოების კლასებად დაყოფა დაიწყო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსების შესახებ მეცნიერებას დიდი ხნის ისტორია როდი აქვს. იგი, როგორც მეცნიერება წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარების განსაზღვრულ პერიოდში.

კაპიტალიზმამდელეკონომიკურ სისტემაში სამეურნეო ცხოვრება იმ დონეზე არ იყო ასული, რომ დასმულიყო საკითხი დამოუკიდებელი ეკონომიკური მეცნიერებების, მათ შორის ფინანსების შესახებ მეცნიერების შექმნის თაობაზე.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფინანსების შესახებკაპიტალიზმამდელფორმაციე-ბში არაფერი არ თქმულა.მონათმფლობელურ საზოგადოების მოაზროვნეთა შორის პირველი იყო **ქსენოფონტე,** რომელიც ფინანსებს შეეხო. იგი მოღვაწეობდა 430-355 წ.წ ჩვენს ერამდე.მან ფინანსებს მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი სახელწოდებით „ათენის რესპუბლიკის შემოსავლების შესახებ“. ქსენოფონტე - ნაშრომში ,,სახელმწიფო შემოსავლების შესახებ“ სახელმწიფო შემოსავლების წყაროდ თვლიდა სახელმწიფო ქონებას, გემებს,საბაჟო გადასახადებსა და წიაღისეულს, მონების გაქირავებას.

საინტერესო აზრები აქვს გამოთქმული ფინანსურ საკითხებზე **არისტოტელეს** (384-322 წ.წ)იგი სიმდიდრისა და შემოსავლების მიღების მთავარ წყაროდ ომებს მიიჩნევდა. არისტოტელე მიუთეთებდა, რომ სახელმწიფო აგროვებს სახსრებს ჯარის, დაცვის სამსახურის, სახელმწიფო აპარატის, მოსამართლეების,ციხის დაცვისა და სხვა სამსახურების შესანახად.

არისტოტელე განასხვავებდა მეურნეობის 4 ტიპს: მეფის,მეფისნაცვლის, სახელმწიფო საქალაქო მეურნეობას და კერძო მეურნეობას.

ფინანსების საკითხებზე მთელი რიგი მოსაზრებებია გამოთქმული **უძველეს ძეგლებშიც. მაგალითად, წიგნში „დაო-დეს შესახებ**“, რომლის ავტორად მიჩნეულია

ლაო-ცი, გამოთქმულია პროტესტი საგადასახდო ექსპოლატაციის თაობაზე. იგი წერს: „ხალხი შიმშილობს იმის გამო, რომ ძალიან დიდია მოსაკრებლები და გადასახადები“.

ჩვენამდე მოაღწია IV-III საუკუნეებში **ინდოეთის უძველესმა ძეგლმა„არტხაშასტ-რამ“** (მეცნიერება პოლიტიკის შესახებ) ტრაქტატში განხილულია სახელმწიფო სამეურნეო წყობა, ფინანსები, მეცნიერება სამხედრო საქმეზე და სხვ.

ფინანსების შესახებ სერიოზული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ფეოდალური წარმოების წესის ფილოსოფოსებს,მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

შუასაუკუნეების ფილოსოფოსი **თომა აქვინელი** (1225-1274) წინააღმდეგი იყო ვჭრობისა და ხელოსნობის. მისი აზრით, სესხზე სარგებელი უსამართლობაა,იმის გამო, რომ იყიდება ის,რაც არ არსებობს. მას მიაჩნია, რომ მეფეს უფლება აქვს სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობისათვის ამოიღოს გადასახადი, თუ ბიუჯეტში სხვა შემოსავლები არ ექნება. იგი წინააღმდეგი იყო სესხების. სახელმწიფო სესხები, მისი აზრით ასუსტებს სახელმწიფოს, დაბლა სცემს მის ავტორიტეტს.

ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენციისთანდათანობით განვითარების კვალობაზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა სახელმწიფოს ფულადი შემოსავლები და ხარჯები. ამასთან, სისტემატური შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა ნატურალური გადასახადები და მოსაკრებლები

თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმის პირობებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი ყოვლისმომცველი ხასიათის მატარებელია, როდესაც ბაზარმა ეს საზოგადოება დაამშვენა, შეამკო და დაემორჩილა მის რკინის სტრუქტურას. ამ სისტემაში ფინანსები გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს ეროვნული სიმდიდრის, მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლების განაწილების პროცესში ფულად საშუალებათა ფონდების წარმოშობის განვითარებას, განაწილებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ აკუმილებური სახსრების აბსოლუტური უმრავლესობა თავს იყრიდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

სახელმწიფო შემოსავლების ფულადი განვითარების უშუალო კავშირში იყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებასა და სახელმწიფოს ფუნქციების ზრდას შორის.

კაპიტალიზმის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ფინანსების გაგება მოიცავდა, ერთი მხრივ, სახელმწიფო ფინანსებს და მეორე მხრივ, საოჯახო მეურნეობის, ფირმებისა და კორპორაციების ფინანსებს.

სახელმწიფო ფინანსები ეკონომიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც დაკავშირებულია მთლიანი ეროვნული პროდუქტის მეორად, აგრეთვე პირველად განაწილება-მოხმარებასთან, ფულადი ფონდების შექმნის მიზნით სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებისას გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად. ამ ფულადი ფონდების მატერიალური შინაარსი განოვთებულია ცენტრალურ და ადგილობრივ (ტერიტორიულ ერთეულების) ბიუჯეტებში, სპეციალურ ფონდებსა და სახელმწიფო საწარმოთა ფინანსებში

საოჯახო მეურნეობათა ფინანსები წარმოადგენს ფულად ურთოიერთობებს, რომელიც წარმოიშვება შემდეგ ფინანსურ გადაწყვეტილებათა მიღებისას: ფულადი საშუალებების მოხმრებისა, დაზოგვის, საინვესტიციო, დაფინანსებისა და რისკის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებისას.

კერძო საწაროთა და კორპორაციათა ფინანსები წარმოადგენს ფულად ურთიერთობებს, რომლებიც იქმნება მათი სამეურნეო საქმიანობის პირობებში და უზრუნველყოფს წარმოების პროცესს და მოგების მიღებას. ფინანსები მატერიალიზებულია ფულადი კაპიტალის და საწარმოთა სხვადასხვა ფულადი ფონდების სახით.

ნებისმიერი ეკონომიკის სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ის თუ რა გზით აერთიანებს ბაზარი წარმოებაში ამ ფაქტორთა არსებით წვლილს. ეს ფაქტორები იძლევა აუცილებელ პასუხს შემდეგ კითხვაზე: წარმოების ფაქტორები რა გზით, რა სახით გამოიყენებოდა საბაზრო ეკონომიკის წინამორბედ სისტემებში?

კაპიტალიზმამდელი წარმოების ფაქტორები პირველყოფილფორმასი იმყოფებოდნენ.გასაგებია ადამიანის შრომა, მიწა, როგორც ბუნების ნაბოძები და

ბუნებრივი პირობები, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ შრომა, მიწა და კაპიტალი არ იყო გაცვლის ობიექტები. უფრო მეტიც მონები თევზზე ჩუმი და ბალახზე დაბალი იყვნენ. ხოლო ყმა გლეხები ნიჯაჭვული ივნენ,ხოლო ყმა გლეხები მიჭაჭვულნი იყვნენ, მემამულის მიწაზე და თვისუფალი ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ.შრომობდნენ და შრომის ანაზღაურებას არ იღებდნენ. სინამდვილეში ყმა გლეხები ბეგარას უხდიდა მემამულეს იმ მიწის ნაკვეთზე სახლობდა ან ამუშავებდა. ამასთან მიწა არ განიხილებოდა უძრავ ქონებად, რომლის ყიდვა-გაყიდვა შეიძლებოდა.კაპიტალი ითვლებოდა ან სიმდიდრედ,ან აუცილებელ შრომის იარაღად,რომელიც მევახშეს ეკუთვნოდა მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმამდელ ფორმაციებმა წარმოების ფაქტორების გამოყენებას ჰქონდა ადგილი, გაცვლითი ურთიერთობანი მაინც ჩანასახოვან მდგომაეობაში იყო

XIX საუკუნის 70 იან წლებიდან თითქმის ყველა სახელმწიფო ეკონომიკის მილიტარიზაციის გზას დაადგა. სახელმწიფოს მიერ სამხედრო მიზნებისთვის გაწეული ხარჯები,სახელმწიფო ვალისა და მასზე სარგებლობის გადახდის ოცულბა აღემტებოდა სახელმწიფოთა ხარჯების 65 პროცენტს. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო მმართველობის ხარჯები. სამაგიეროდ სოციალური ღონისძიების დაფინანსების ხარჯები ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის ცხოვრების ნორმალურ პირობებს. სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების მთავარი წყარო გადასახადები იყო, განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადები.

მეორე მსოფლიო ომის წინა და ომის შემდგომ პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო ფინანსებისათვის დამახასიათებელი გახდა ხარჯების სწრაფი ზრდა, რომელიც კიდევ უფრო დაამძიმა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განხორციელებულმა ცივი ომის პოლიტიკამ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი იმითაც არის ცნობილი, რომ ქვეყნების სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. სამხედრო ხარჯების დიდი ხვედრითი წონის მიუხედავად, ეს ხარჯები XIX საუკუნის დასასრულს ანალოგიურ ხარჯებთან შედარებით შემცირდა და მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური ღონისძიებების დაფინნსების, როგორც ხვედრითი წონა ასევე

აბსოლიტური მოცულობა. ანვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის პატარა ქვეყნები იქცნენ სოციალური მი ართულების ქეყნებად და სახელმწიფო შეოსავლების დიდ ნაწილს მოსაღლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით იყენებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ განვითრებული ქვეყნების აბსოლიტურ უმრავლესობაში გაბატონებულია თავისუფალი სბაზრო მეურნეობა და იგი იმართება საბაზრო ეკონომიკის მონეტარისტული მოდელით, სახელმწიფოები დიდ ხარჯებს ეწევიან ეკონომიკის განსავითარებლად, რაც გამოიხატება სახელმწიფო ინვესტიციების გადიდებაში უპირატესად სათბობ-ენერგეტიკული,ელექტრო-მექანიკური მრეწველობის დარგებსა და სასოფლო სამეურნეო და სურსათის წარმოების სფეროებსში.

სერიოზული სტრუქტურული ძვრები მოხდა ისეთი ხარჯების დაფინანსებაში, როგორიცაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანახარჯთა დაფინანსების მნიშვნელოვანი გადიდება, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის შემცირებას, ამასთან მთავრობა მეწარმეებს აძლევს სუბსიდიებს იაფი ინვესტიციების სახით, რაც თავის მხრივ,აძლიერებს მოფლიო ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლას. უფრო მეტიც.ექსპორტიორ ფირმებსა და კორპორაციებს ბიუჯეთიდან ეძლევათ საექსპორტო პრემიები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავის წესდების შესაბამისად განვითარებული ქვეყნების მიმართ არ აყენებს კვლავწარმოებითი პროცესის ფინანსურ უზრუნველყოფას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს განვითარებული ქვეყნების ხელისუფალთა მიერ საერთაშორისო ბაზრების დაპყრობის პროცესის თვითდინებაზე მიშვებას. მატერიალურ დოვლათის წარმოებაზე ფინანსური მხარდაჭერა დაკისრებული აქვს რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკს.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე განვითარების მონეტარისტული მიმართულება ოდნავადაც არ ამცირებს კვლავწარემოებითი პროცესის ფინანსური უზრუნველყოფის აუცილებლობის მოთხოვნას. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ კვლავწარმოების დანახარჯების დაფარვა უნდა მოხდეს იმ ფინანსური რესურსებით,

რომლებიც თავმოყრილია სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტების ხელში. ამ მიზნებისათვის დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების 20 პროცენტზე მეტი იხარჯება. საქართველოში არსებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ქვეყნის კვლავწარმოებითი პროცესის დანახარჯთა დასაფინანსებლად არათუ სახელმწიფო ბიუჯეტი, არამედ საწარმოთა შემოსავალიც კი ფაქტობრივად არ გამოიყენება და მთელი გულისყური მიმართულია უცხოური ინვსტიციების მოზიდვისკენ, რომელთა ეფექტი შიდა რესურსების გამოყენებასთან შედარებით ნაკლებია იმის გამო, რომ ქვეყანაში მობილიზებული კერძო რესურსების გამოყენებას ყოველთვის მეტი ეფექტი გააჩნია. იმ ქვეყანაში, სადაც არსებული მოცულობაც კი მთლიანად მოხმარების ფონდში გადადის, ძალიან ძნელია შეზღუდული ფინანსების პირობებში მივაღწიოთ ეროვნული მეურნეობის განვითარებას. ამას კი, თავის მხრივ, მივყავართ წარმოებრივ და სოციალურ სფეროებში ინვესტიციების მაშტაბებისა და გამოყენებული ეროვნული შემოსავლის შემადგენლობაში მოხმარების ფონდის შემცირებისაკენ. ფინანსური რესურსების უკმარისობა საზოგადოებრივი წარმოების ნატურალურ-ნავთობრივ და ღირებულებით სტრუქტურაში დაუბალენსებლობას იწვევს. თავის ხრივ, ფინანსური რესურსების მოცულობა და სტრუქტურა არა მარტო ერთმნეთთან არის მჭიდრო კავშირში, რამედ წარმოების განვითარების დონესთან, მის ეფექტინობასთან.

თნამედროვე ეპოქაში კვლავწარმოების პროცესთან და სოციალურ ურთიერთიბებტან ზემოქმედებისათვის გამოიყენება არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო ურთიერთობები(საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება „ტასისი“ და ა.შ.).

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები კოლოსალურ სახსრებს ხარჯავენ დაცვის ღონისძიებებზე. დიდ ფინანსურ დახმარებას უწევენ განვითარებად ქვეყნებს კრედიტის, სუბსიდიებისა და ტექნიკური დახმარების სახით.

1.2 ფინანსური წიგნიერების პრობლემა საქართველოს მოსახლეობაში და საზოგადოების ფინანსური განათლების დაბალი დონე

ფინანსური განათლება ნიშნავს ფინანსურ ცნობიერებასა და ცოდნას. იგი გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსური პროდუქტების, ინსტიტუტებისა და ცნებების ცოდნას, არამედ ფინანსურ უნარებს, როგორიცაა რთული საპროცენტო გადასახადების გამოთვლა; და ზოგადად, იგი მოიცავს ფინანსურ უნარებს ფულის მენეჯმენტისა და ფინანსური დაგეგმვის თვალსაზრისით. ამ ტიპის ცოდნა ფინანსურ ინსტიტუტებში რწმენის შემქმნელი საშუალებად გვევლინება, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ფინანსური საქმიანობა და სასესხო მხარდაჭერა ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის.

საქართველოს მოსახლეობის დაბალი ფინანსური წიგნიერების დონის ძირითად წყაროდ შეგვიძლია განვიხილოთ ჩვენი ქვეყნის საბჭოთა წარსული. 70 წლის მანძილზე საქართველო ცხოვრობდა სისტემაში, სადაც ეკონომიკის დაგეგმვა ხდებოდა ცენტრალურად, ხელისუფლების მიერ. ასეთ სისტემაში, მოსალეობას არ უწევს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება, რადგან ამას თავად სახელმწიფო აკეთებს. 90-იანი წლებიდან, აღარ ვცხოვრობთ სისტემაში, სადაც ვინმე განსაზღვრავს ჩვენს ბედს, ვინაიდან ქვეყანა გადავიდა საბაზრო ეკონომიკის მოდელზე, თუმცა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საზოგადოების ცნობიერების სრული გადმოწყობა ახალ რეალობაზე. პრობლემა განსაკუთრებით ეხება იმ თაობებს რომლებიც საბჭოთა განათლების სისტემის რეჟიმში აღიზარდნენს და რომლებიც დღესდღეობით აქტიური სამუშაო ძალის უდიდეს ნაწილსწარმოადგენენ. უკეთესი მდგომარეობაა ახალგაზრდების სეგმენტში, ვინაიდან 2000-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო განათლების სისტემის აქტიური რეფორმები, საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ეკონომიკისთვის საჭირო კომპეტენციებსა და კვალიფიკაციებზე მეტ ორიენტაციას.

პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდისთვის, რომელიც ვერ ახერხებს ფინანსური გადაწყვეტილებების გაცნობიერებულად მიღებას, საკუთარი კეთილდღეობისთვის, არამედ ეს პრობლემაა სახელმწიფოსთვისაც, ვინაიდან სახელმწიფო, მაღალი ეკონომიკური ცნობიერების მქონე მოქალაქის სახით,

კარგავს სერიოზულ რესურსს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური პროგრესის კონტექსტში.

ფინანსური მწიგნობრობის პრობლმის გადაჭრის გზები იმყოფება.

საქართველოში არსებული ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, როდესაც შენელებულია ეკონომიკური აქტივობა, ეროვნული ვალუტა 40%-ზე მეტად არის გაუფასურებული, როდესაც მოსახლეობის 30% ღარიბია, როდესაც უმუშევრობის დონე მაღალია, ხოლო დასაქმებულთა შორის 60% თვითდასაქმებულია, ხოლო დაქირავებულთა შორის საჯარო სექტორში დასაქმებულთა წილი მაღალია, როდესაც კერძო სექტორი არ არის ძლიერი, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის შიდა ეკონომიკურ გაჯანსაღებას, რაშიც მოსახლეობას უმნიშვნელოვანესი და პოზიტიური როლის თამაში შეუძლია. მმართველ დონეზე უნდა მოხდეს იმის გააზრება, რომ მოსახლეობის ეკონომიკური და ფინანსური განათლება არის ჩვენი ქვეყნის სუსტი მხარე და საჭიროა, მიიღონ აქტიური ზომები პრობლემის მოსაგვარებლად.

საქართველოს ეკონომიკური ისტორია

1991 წელს სა ქართველოში ერთ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი (PPP) $5,550 იყო.

1990-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური კატასტროფა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. რთულია, გამოყო, რომელი ფაქტორი უფრო დამანგრეველი იყო: სამოქალაქო ომი, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომი, კორუფცია, კრიმინალი, საბაზრო ეკონომიკის არცოდნა, ჰიპერინფლაცია თუ ენერგეტიკული კრიზისი.



(სურ-1)

1995 წლიდან საქართველოში ეკონომიკურმა სიტუაციამ გამოსწორება დაიწყო, მშპ 2.6%-ით გაიზარდა. 1996-1997 წლებში ზრდა 10.6% იყო,რაც განაპირობა შედარებით სტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ომის დასრულებამ და 1995 წლის სექტემბერში განხორციელებულმა მონეტარულმა რეფორმამ, როდესაც კუპონი ლარით ჩანაცვლდა. 1995 წელს ჰიპერინფლაციის ტემპი 57%-მდე შემცირდა, ხოლო 1997 წელს უკვე 7.2% იყო. ლარის კურსი დოლარის მიმართ სტაბილური იყო და 1.3-ის ფარგლებში მცირედით მერყეობდა. 1996-1997 წლებში საქართველოს ექსპორტი 57%-ით გაიზარდა.

1997 წელს $243 მილიონის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) შემოვიდა, როცა 1996 წელს ინვესტიციები მხოლოდ 4 მილიონი დოლარი იყო



(სურ-2)

მეოცე საუკუნის ბოლოს მსოფლიოში დაიწყო აზიის ფინანსური კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებით აზიის ქვეყნები დააზარალა, მათ შორის - რუსეთიც. რადგან ამ

პერიოდში საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების დონე მაღალი იყო, კრიზისმა საქართველოზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

1998-2000 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 2.5%-მდე დაეცა. ლარი საგრძნობლად გაუფასურდა, ერთი დოლარის ფასი 2 ლარს გადასცდა. წლიური ინფლაციის ტემპი 11%-მდე ამაღლდა.

აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი თანდათან ამაღლდა. 2003 წელს ეკონომიკა 11.2%-ით გაიზარდა. 2003 წლის მაღალი ზრდა ძირითადად ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის ზრდამ განაპირობა. ასევე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა ჰქონდა ბაქო- ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას.

2003 წელს ბიუჯეტის შემოსავლები მილიარდ ლარს გადასცდა, ხოლო სახელმწიფო ვალმა 5.4 მილიარდ ლარს (მშპ-ის 63%-ს) მიაღწია.

2003 არსებული დადებითი ეკონომიკური ტენდენცია არ გახდა საკმარისი ვარდების რევოლუციის შესაჩერებლად, რადგან რევოლუციის მთავარი ლოზუნგი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მსოფლიო ბანკის 2002 წლის მონაცემებით, საქართველო ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო.

2004-2007 წლები მნიშვნელოვანი რეფორმების წლებია. შემცირდა კრიმინალი, კორუფცია. საგრძნობლად შემცირდა ბიზნესის კეთების ხელის შემშლელი რეგულაციები. შემცირდა გადასახადების სახეები და განაკვეთები. ყველაფერი ეს სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგში აისახა. ამას ერთვოდა ისიც, რომ მსოფლიოშიც ეკონომიკური ბუმის პერიოდი იდგა.

2004 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2007 წელს - 12.6%-ით. თუმცა, მაღალი იყო ინფლაციის ტემპი - წლიურად საშუალოდ 8.4%-ის დონეზე. ბიუჯეტის შემოსავლები 4-ჯერ გაიზარდა და 5 მილიარდ ლარს მიაღწია. სახელმწიფო ვალი 4.3 მილიარდ ლარამდე (მშპ-ის 26%-მდე) შემცირდა.

2007 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმაღლესი მაჩვენებელი - $2 მილიარდი დაფიქსირდა და დღემდე რეკორდად რჩება.



(სურ-3)

2008 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკა 10%-ით გაიზარდა. 2008 წლის ბოლოს მსოფლიოში გლობალური ფინანსური კრიზისი დაიწყო. საქართველოს ეკონომიკის ზრდა აგვისტოში, რუსეთ- საქართველოს ომის დროს შეჩერდა.

2009 წლიდან საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს $4 მილიარდზე მეტის დახმარება და შეღავათიანი კრედიტები გამოუყო. თუმცა 2009 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - 58%-ით, ექსპორტი - 24%-ით, ქვეყნის ეკონომიკა კი 3.7%-ით შემცირდა.

გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი და აქედან გამომდინარე ქვეყნის სახელმწიფო ვალი. 2 წელიწადში ვალი 3 მილიარდი ლარით გაიზარდა (ნაწილობრივ ლარის გაუფასურების გამო) და მშპ-ის 41%-ს გაუტოლდა. ლარი დოლარის მიმართ 1.8-მდე გაუფასურდა.

2010-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 6.6%-ით იზრდებოდა. ზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა უცხოური დახმარებები და კრედიტები. 2010-2011 წლებში ბიუჯეტის დეფიციტი მაღალი იყო, მთავრობა დეფიციტური ხარჯვით

ეკონომიკური ზრდის ტემპს ამაღლებდა. შედეგად, სახელმწიფო ვალი კიდევ 2 მილიარდი ლარით გაიზარდა და 9 მილიარდს გადააჭარბა (თუმცა მშპ-ის მიმართ 35%-მდე შემცირდა). 2010 წელს ინფლაციამ 11.2% შეადგინა, შემდეგ წლებში კი შემცირდა.

ექსპორტი წლიურად საშუალოდ 29%-ით იზრდებოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წელიწადში საშუალოდ $950 მილიონის დონეზე იყო. ეკონომიკის სექტორებიდან ყველაზე მაღალი ტემპით მშენებლობა, ვაჭრობა, საფინანსო საქმიანობა, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი იზრდებოდა. შემცირდა სოფლის მეურნეობის სექტორი .

2013 წელს ახალმა ხელისუფლებამ წინა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა დაიწყო, შეაჩერა ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, გაურკვეველი იყო, მთავრობა ეკონომიკის განვითარების რა გზას აირ ჩევდა. ეკონომიკური ზრდის ტემპი 3.4%-მდე შემცირდა. ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ბალანსი „გაირღვა“. განსაკუთრებით შემცირდა ინფრასტრუქტურული ხარჯები (1.5 მილიარდიდან - 1.1 მილიარდამდე).

2013 წელს, ყველაზე მეტად, 11.3%-ით გაიზარდა სოფლის მეურნეობის სექტორი, რადგან მთავრობამ ხალხს ხვნა-თესვის ვაუჩერები დაურიგა. ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება კი მშენებლობის სექტორში იყო - 10%.



(სურ-4)

2014-2016 წლებში ეკონომიკა საშუალოდ 3.4%- ით იზრდებოდა. 27%-ით შემცირდა საქართველოს ექსპორტი, რაც ძირითადად რუსეთსა და აზერბაიჯანში არსებული კრიზისით იყო გამოწვეული. 22%-ით შემცირდა საზღვარგარეთიდან ფულადი

გზავნილები. 2014-2016 წლებში დაეცა ტურიზმის ზრდის ტემპიც. შემცირებულმა საგარეო შემოსავლებმა ლარის გაუფასურება გამოიწვია, კურსმა დოლარის მიმართ 2.8-საც კი მიაღწია. ბოლო 4 წელიწადში ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 3.7%-ია. სახელმწიფო ვალი მშპ-ის მიმართ 44%-მდე გაიზარდა.

აღნიშნულ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე მეტი 2014 წელს იყო - $1.8 მილიარდი. მომდევნო წლებში კი საშუალოდ $1.6 მილიარდის ინვესტიცია შემოვიდა.

2017 წელს ეკონომიკის 4-4.5%-ით ზრდაა მოსალოდნელი, რაც ძირითადად ექსპორტის, ფულადი გზავნილების, ტურიზმისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობის ზრდას ემყარება. ერთ მოსახლეზე წლიური შემოსავალი 10,000 PPP დოლარს გადასცდება.



(სურ-5)

თავი 2 ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დამოკიდებულება ფინანსურ წიგნიერებასთან

2.1 საზოგადოების ფინანსური წიგნიერების ადგილი და მნიშვნელობა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში

ქართველი ფინანსისტი და სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ქომაგი ნოდარ ქოიავა ჯერ კიდევ ადრეულ წლებში მიმართავდა სტუდენტ-ახალგაზრდობას: ,,გახსოვდეთ!... ერთი ექიმის არასწორ დიაგნოზს ან მცდარ რეცეპტს შეიძლება ერთი ადამიანის დაღუპვა მოჰყვეს, ერთი ფინანსისტის არასწორ დასკვნას ან მცდარ რეკომენდაციას კი არა მარტო ერთი ადამიანის დაღუპვა, არამედ საწარმოების, დარგთა სისტემებისა და თვით სახელმწიფოების დაღუპვაც კი და შესაბამისად ასობით, ათასობით, ასიათასობით და მილიონობით ადამიანის ტრაგედია და სიკვდილი...მსგავსი შედეგები რომ არ მოხდეს, აუცილებელია საფინანსო, საბანკო, ფულად და მათ თანმდევ სხვა ეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებს განაგებდნენ და მართავდნენ ფინანსისტ-პროფესიონალები, თავისი სქმნის მცოდნე, მრავალმხრივ განათლებული,დიდი მოქალაქობრივი ზნეობისა და პრინციპების მქონე ადამიანები”....

გახსოვდეთ!... უფულო და ჯიბეგაფხეკილი არც კაცი ვარგა, არც ოჯახი და არც ქვეყანა. ასეთს არც მტერი აგდებს რამედ და არც მოყვარე. ყოველთვის უნდა ცდილობდე კეთილსინდისიერი შრომით იმდენი დააგროვო, რომ შენც კარგად იცხოვრო და მტერიც და მოყვარეც სათანადოდ გაისტუმრო. ფულსა და ქონებას ყადრი უყვარს და ვინც ამას ივიწყებს, ის ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, სულერთია, მხოლოდ თავისთავის პატრონი იქნება, ოჯახისა, დუქნისა თუ ქვეყნისა!”...

გახსოვდეთ!....იმისათვის, რომ გახდეთ დიდი ფინანსისტი, დიდი ბანკირი და დიდი ეკონომისტი, საჭიროა სისტემატურად ისწავლოთ, სისტემატურად იშრომოთ, სისტემატურად იღვაწოთ პირადად თქვენი, თქვენი ოჯახის ოჯახის და მათთან ერთად, პირველ რიგში, თქვენი და ყველა ჩვენთაგანის საყვარელი და საოცნებო საქართველოს უკეთესი და ბედნიერი მომავლისათვის”..... [ვანიშვილი მ. ნოზაძე მ. გოცირიძე ლ. ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით, თბ., 2010 , გვ.3]

დღესდღეობით,განვითარებულქვეყნებშიაღარარისდავაიმისთაობაზე,რომსაზოგადოების ფინანსურიწიგნიერებაძალიანმნიშვნელოვანროლსთამაშობსქვეყნისეკონომიკურიდა ფინანსურისტაბილურობისადაგანვითარებისსაქმეში.თანამედროვემსოფლიოში,სადაც ინდუსტრია, დემოგრაფია, ტექნოლოგია და სხვა მოცემულობები სწრაფი ცვლილებების

რეჟიმშიმიმდინარეობს,საერთაშორისოდაადგილობრივბაზარზეარსებულიმოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. [Starcek,S.Trunk,A.Themeaningandconceptoffinancialeducationinthesocietyofeconomicchanges. Internationalconferenceproceedings.2013.Pg.2]

ამ სივრცეში

ეფექტიანადადაპტირებისმიზნით,სამთავრობოინსტიტუტებიმივიდნენდასკვნამდე,რ ომ

უნდამოეხდინათპასუხისმგებლობებისდელეგირებაინდივიდებზეანუმომხმარებლებ ზე. შედეგად, ინდივიდი გახდა საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი. სწორედ ამიტომ, მისი ფინანსური გადაწყვეტილებები და სამომხმარებლო ქცევები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

აქედან

გამომდინარე,ფინანსურიწიგნიერებისმაღალიდონეთავადმთავრობისინტერესშია,რად

გან ამ ტიპის ცოდნა ფინანსურ ინსტიტუტებში რწმენის შემქმნელ საშუალებად

გვევლინება; გარდა ამისა, მას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური რეფორმებისა და

სტიმულების ეფექტიანობა, საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და მათი

სამომხმარებლო ქცევის ადექვატურობისსაშუალებით.

ყველაეკონომიკურსისტემაშისახელმწიფოსწინაშედასახულიამოცანებისრეალიზაც

იაშიუდიდესროლსასრულებსსაფინანსოპოლიტიკა,

რომლისეკონომიკურიშინაარსისღრმამეცნიერულიანალიზიფინანსების,

როგორცეკონომიკურიკატეგორიისსამეურნეოპრაქტიკაშისრულადგამოყენებისსაშ

უალებასიძლევა. სწორედაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა

ფინანსებისწამყვანიადგილისოციალურადორიენტირებულსაბაზროეკონომიკაზეგა

დასვლისპირობებში. ამასთან,

საფინანსოპოლიტიკისმეცნიერულისრულყოფისსხვადასხვამიმართულებასთანდაკ

ავშირებითუამრავისადავოსაკითხისარსებობაკიგანსაკუთრებულადამძლავრებსფი

ნანსურურთიერთობათათეორიულიშესწავლისსაკითხისაქტუალობასდაზრდისმისი

ყოველმხრივიმეცნიერულიდასაბუთებისმნიშვნელობას როგორც დღევანდელ

საქართველოში, ისე გასული პერიოდის საქართველოშიც, რაც არა ერთხელ

გამხდარა ქართველი საზოგადო მოღვაწეების შემოქმედების ძირითადი წყარო.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, შესაბამისი ლიტერატურის მოძიებისას

წავაწყდით უამრავ მოღვაწეთა შემოქმედებაში ეკონომიკური და ფინანსური

ურთიეთობების ნიადაგზე აღმოცენებულ პრობლემურ საკითხებს, რომლებიდანაც

ნათლად ჩანს ავტორთა შეხედულებები, როგორ აიძულებს ფინანსური რესურსი

ხალხს, საზოგადოებას მოიქცეს ასე, და არა ისე როგორც მათ მიაჩნიათ.

პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად გადაწყვეტილებების მიღების

პროცესში დომინირებს ფულადი რესურსებით მანიპულირება, თუმცა

გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის შეიძლება არც თუ დიდად სასიამოვნო

იყოს ფინანსური რესურსის გამო კომპრომისებზე წასვლა. შევეცდებით

მოვახდინოთ შემდეგი მწერლების, პოეტების, ამავე დროს საზოგადო მოღვაწეების, სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწეების, იმ დროინდელი მეცენატებისა თუ ბიზნესმენების ცხოვრებისა შემოქმედებითი პერიოდების განხილვა, რომელიც ფინანსური წიგნიერების ფაქტიური მდგომარეობის წიაღში წარმოიშობოდა ხოლმე და საზოგადოებას ევლინებოდა ,,როგორც მთავარი საბრუნავი ღერძი, რომლის ირგვლივაც ბრუნავს მთელი მსოფლიო”... [აღნიშნავდა ფულის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის განმარტებისას კარლ მარქსი], მართალია მარქსის თეორიამ გამოიარა კრიტიკის ქარცეცხლი, მაგრამ დღევანდელობა ვერ უარყოფს ამ განმარტებას, მიუხედავად მისი ავტორის ისტორიული კუთვნილებისა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმდიდრეც და სიღარიბეც თავისი ღრმა ეკონომიკური არსით ფინანსებთან ასოცირდება. ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, მხატვრები და ა.შ. არა მხოლოდ ისინი, საქართველოში უამრავი კეთილი საქმის წამომწყებნი, წინარე პერიოდის ბიზნესმენები, მეცენატეები, როგორებიც იყვნენ სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები,ხოშტარიები, ლაღიძეები, პატარკაციშვილები....ყოველთვის ყურადღების ცენტრში დგას ეკონომიკა თავისი ურთულესი გაგებით.

2.1.1 შოთა რუსთაველი და მისი დამოკიდებულება სიმდიდრესთან

დრო ისეთი ფენომენია, ყოველთვის რომ იცვლება. ცვლილებებს ახალ-ახალი სახეები მოჰყავს სხვადასხვა საკითხებთან დამოკიდებულებაში. შოთა რუსთაველს ვერ შეეხო დრო. ის მუდმივად იარსებებს თავისი უკვდავი ქმნილებით ,,ვეფხისტყაოსანი" და არაერთი თაობის ხელიდან ხელში საგოგმანები იქნება წიგნთა წიგნის ბიბლიის შემდეგ. მართალია, ვეფხისტყაოსნის, როგორც უნიკალური შედევრის დანიშნულებაა სიყვარულის, მეგობრობის, სხვადასხვა ყვეყნის ხალხთა დაძმობილებისა და მათთვის თავდადების მაგალითი, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ავტორი ყოველთვის ხაზს უსვამს, თუნდაც ტარიელის გამოჩენის, თუნდაც სხვათა ფინანსური დახმარების მიხედვით.

გ. ტაბიძეს შ. რუსთაველის პოემის მიხედვით თავის დროზე ჩაუნიშნავს:

,,ნახვაარაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ მრავალმხრივ არის საყურადღებო. სიუჟეტური თვალსაზრისით ეპიზოდის აკვანძოა. უცხო მოყმე განსაკუთრებული ნიშნებით ჩნდება მკითხველის თვალსაწიერზე: თვალის მომჭრელი გარეგნობით, ჩაცმულობა-აღკაზმულობით და ემოციური განწყობით. სწორედ ასეთად აღიბეჭდა იგი მეფე როსტევანის მეხსიერებაში:

,,უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე,
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე,
რა უმძიმდ აარვიცოდი, ანტიროდავისთვისკიდე,
ჩემდანახვადარმოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე“.[1] (109)

,,როსტევანისმხიარულინადირობაირღვევაუცნობისმდუღარეცრემლით.
როსტევანსუკვირს, რომმისბედნიერსამეფოშივიღაცტირის“. მისი სამეფო ხომ გამოირჩევა სიმდიდრით, მეფესისუფროგაუკვირდა, უცნობმამისიგაცნობარომარინება. წარგზავნილიმონაკიუცხომოყმისახლოდანნახვამსრულიადგააოგნა:

,,წავიდამონასაუბრადმისყმისაგულ-მდუღარისად,
თავ-ჩამოგდებითმტირლისა, არჭვრეტითმოლიზღარისად,
მუნვეწვიმსწვიმაბროლისა, ჰგიაგიშრისაღარისად,
ახლოსმივიდამოსცალდასიტყვისათქმადაღარისად“. (86)

თუ დავუკვირდებით სტროფების მონაცემებს, მარტივად დავრწმუნდებით, რომ თვალთაგან გადმოდენილ ცრემლსაც კი ბროლს და გიშერს ადარებს. თუნდაც უცხო მოყმის ნახვა გავიხსენოთ:

,,ნახეს, უცხო <u>მოყმე</u> ვინმე <u>ჯდა</u> მტირალიწყლისაპირსა,
შავიცხენი <u>სადავითაჰყვა</u> <u>ლომსადავითაგმირსა,</u>
ხშირადესხამარგალიტილაგამ-<u>აბჯარ</u>-უნაგირსა.
ცრემლსა <u>ვარდი</u> დაეთრთვილა, გულსამდუღრადანატირსა.”

და გრძელდება ტარიელის დახასიათება

,,მასტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხისტყავისა,
ვეფხისტყავისაქუდივეიყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახიჰქონდა უსხოსიმკლავისა;
ნახესდანახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.”

უდავოა, ასეთი აღწერა უცხო მოყმის, როგორიცაა: შავი ცხენი, ფუფუნებაა, ლაგამ-აბჯარ-უნაგირის მარგალიტის მოკაზმულობა, ტანთ შემოსილი ვეფხის ტყავი, ხელთ ნაჭედი მკლავის სიმსხო მათრახი, ვერ ექნებოდა ღარიბ ადამიანს.

თუმცა არც ღარიბი მოსახლეობა ავიწყდება რუსთაველს, როცა გვასწავლის:რომსიცოცხლედიდიღირებულებაა, მაგრამარაერთდერთი! სამარცხვინოსიცოცხლესსიკვდილისჯობს; სიკვდილი, რომელსაცვერავინგაექცევადასიკვდილი, რომელიცყოველ წამსაა მოსალოდნელი. ამიტომაც, ავთანდილისანდერძიმატერიალურნაწილსაცმოიცავს:

,,მაქვსსაქონელიურიცხვი, ვერვისგანანაწონები,
მიეცგლახაკთასაჭურჭლე, ათავისუფლემონები,
შენდაამდიდრეყოველიობოლი, არასმქონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.
,,რაცათქვენთვისარ ვარგ იყოს საჭურჭლესა დასადებლად,
მიეცზოგიხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად“.

ესაარუსთველისდანაბარები.

ეს ისეთი დანაბარებია, რომელიც დღესაც უნდა ახსოვდეს ყველას. ეს რუსთავისეული დამოკიდებულებაა ქონებასთან, როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს ის - ნივთიერი თუ ფულადი.

შოთა რუსთაველის შემოქმედება აიტაცეს და ახლებურად გაიაზრეს თეიმურაზ I-მა XVII-საიკუნეში, XVIII-საუკუნეში პოეტმა არჩილმა, რომელიც ასეთი ტაეპით გადმოსცემს ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას:

,,საქართველოსავსეარის, ჩემიწიგნიყველგანგაჰქუხს,

ვისლხინიაქვს, მასუბნობენ, ანუგულივისცაუწუხს.”

აღორძინების ხანის ქართველი პოეტები შენატრიან რუსთაველის ენას, მათ შორის, დავით გურამიშვილი აღნიშნავდა, რომ ვეფხისტყაოსნის შემდეგ, მათაც გაბედეს უმსგავსო ლექსების თქმა.. დავითიანში აღნიშნავს, რომ:

,,მერუსთველსალექსსარუდრი, ვითმარგალიტსჩალისძირსა”

ახალი დროის ქართული ლიტერატურის პროზაიკოსები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა დიდებას ასხამენ რუსთაველს, როგორც საქართველოს და აქ გამახსენდა ასეთი ციტატა: ,,როგორც ჰომეროსი არის ელადა, გოეთე - გერმანია, დანტე - იტალია, ასევე რუსთაველი - საქართველოა”, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში მზითევის ყველაზე ძვირფასი საპირწონე ,,ვეფხისტყაოსანი ” იყო. ჩვენი გაგებით, ყოველივე ეს იმ პერიოდის ფინანსურად აზროვნების საუკეთესო ნიმუში იყო.

2.1.2**სულხან -საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები**

განუზომლად მივიჩნიეთ სულხა-საბას შემოქმედება თავისი ეკონომიკური შეხედულებებით, რომელსაც საქართველოს კეთილდღეობას ახმარდა შემოქმედი.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის პროცესი მიმდინარეობდა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების ვითარებაში.ფეოდალური მეურნეობის ზრდა-განვითარება იწვევს ცალკეული სამთავროებისა და საფეოდალების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება. იმავე დროს ეს არის

პერიოდი არაბების ბატონობის შესუსტებისა.გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ხელისუფლებასX საუკუნეში ბრძოლა უხდება, ერთის მხრივ, მსხვილ ფეოდალებთან, რომლებიც განკერძოებისთვის ირძვიან, მეორეს მხრივ, არაბებთან, რომელთა სახალიფო ამ დროისთვის უკვე დასუსტებულია, მაგრამ არაბთა თბილისის საამირო ჯერ კიდევ არსებობს; საქართველოს ბრძოლა აგრეთვე უხდება თურქ-სელჯუკებთან. გარეშე თავდასხმებისაგან თავდაცვის საჭიროება აჩქარებს საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესს. მაგრამ ამასთანავე, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესი ამ დაჩქარების გამო უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ცალკეული სამთავროების ურთიეთეკონომიკური დაკავშირება მოასწრებდა ამ ცალკეული სამთავროების ეკონომიური, პოლიტკური და კულტურული სხვაობის ნიველირებას. ამ გარემოების შედეგად ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის შემდეგაც ცალკეული სამთავროების ეკონომიური და პოლიტიკური კარჩაკეტილობა ფაქტიურად დაუძლეველი დარჩა და გაერთიანება ზერელე და შემთხვევითი ხასიათისა აღმოჩნდა.“ სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა,უკეთეს შემთხვევაში მხლოდ ზედაპირულ -ადმინისტრაცულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრების ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების პირობებში“.

ამასთანავე თვით ფეოდალიზმის განვითარებაც თავისებური გზით წავიდა საქართველოში ფეოდალური ქვეყნისთვის დამახასიათეელია, განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, პოლიტიკური გაერთიანება. ეს არის ფეოდალიზმის განვითარებისჩვეულებრივი გზა..

ვახტან VI,ისე როგორც მისი წინამორბედი მეფეები, კარგად ხედავდა, რომ საქართველოსთვის კატეგორიულად წამოიჭრა ორიენტაციის საკითხი, რომსაქართველოს საკუთარი ძალებით აღარ შეეძლო აღმოსავლური ბარბაროსულიფეოდალური სამყაროს გარემოცვას გამკლავებოდა.მას საკუთარი ძალები აღარ ყოფნიდა მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ. ფეოდალური

საქართველოს მესვეურებმა არაერთხელ მოსინჯეს ნიადაგი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დახმარების მისაღებად. სულხან-საბა ორბელიანი ერთ-ერთი უდიდესი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელიც დასავლეთ ევროპაში საგანგებო მისიით გაემგზავრა, რომ დახმარება მიეღო რომის პაპისა და საფრანგეთის მთავრობისაგან. ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ამის შემდეგ ქართველი მესვეურები კიდევ უფრო აქტიურად ჩაეჭიდნენ რუსეთის ორიენტაციას და განაგრძეს ბრძოლა რუსეთ-საქართველოს დასაკავშირებლად.

სულხანის მოღვაწეობის დროის საქართველოს ეკონოიური მდგომარეობის დასახასიათებლად მეტად საყურადღებოა XVIII დასაწყისში შედგენილი სახელმწიფო სამართლის ძეგლი „დასტურლამალი", რომლის მიხედვით, ქართლის სამეფოს ფინანსური მდგომარეობის საუკეთესო დამახასი-ათებელია გადასახდელთა შორის ნატურით გადასახდელი, რომელიც შეიცავს გადასახადების90% -ზე მეტს. ეს იმას ნიშნავს, რომ რენტისძირითადი სახე ნატურალურია, რომ მეურნეობა კარკჩაკეტილია, რომ საქალაქო ურთიერთობას უმნიშვნელო ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებაში და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ეკონომიკური ჩამორჩენილობისა ,საქართ-ველოს ფეოდალურო მეურნეობა თავისი ხასიათით უფრო ახლოს იდგა ევროპის ქვეყნების ფეოდალიზმთან, ვიდრე აღმოსავლეთ ქვეყნების ფეოდა-ლიზმთან.

როგორ მოხდა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ადგილი აქვს იმას, რასაც ხშირად უწოდებენ „აღორძინების ხანას", „ვერცხლის ხანას" და სხვ... მართლაც ამ პერიოდში ადგილი აქვს ქართული კულტრის აყვავებას. ამ პერიოდში დაარსდა საქართველოში ქართული სტამბა, დაიბეჭდა პირველად „ვეფხისტყაოსანი", დაიწერა „ქართლის ცხოვრების" გაგრძელება .... როგორც ვხედავთ, მუშაობა გაიშალა ქართული კულტურის ყველა ფრონტზე. ეს არის ქართული კულტურის მართლაც,,,აყვავების ხანა", რომლის მწვერვალს სულხან-საბა ორბელიანი წარმოადგენს.. შესაბამისად შეინიშნება გლეხობაში დაინტერესება სხვადასხვა

გადასახადების ბუნების გაგებისათვის. [ხაზგასმა ავტორისეულია] [სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ 1959,გვ 21.]

იშვიათად მოიძებნება ისტორიაში ისეთი ადამიანი, რომელიც ერთსადა იმავე დროს იყოს დიდი სახელმწიფო მოღვაწე,დიდი მხატვარი და დიდი მეცნიერი.

საქართველოს ბარბაროსული გარემოცის გარღვევას სულხანი ცდილობდა ევროპის ქვეყნების დახმარებით. მუსლიმანური რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა სულხანისათვის საქართველოს ბარბაროსული გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა.

საბას რომის სახით წარმოდგენილი ყავდა ის ძალა, რომელიც დახმარების გაწევა შეძლებდა საქართველოსათვის ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ. სულხანი სწორედ ამ რჩეულთაგანია.

სულხანი ქართველი ხალხის სოციალურ პოლიტიკური განცდათა სიღრმით დამძიმებული ეძებს თავისი სამშობლოს ხსნის გზებს. ის კარგად ხედავს იმ წყვდიადს, რომელიც მის მშობელ ხალხს შთანთქმას უქადის. ისპაჰანი და კონსტანტინეპოლი, რომი და პარიზი, თბილისი და მოსკოვი, ასეთია ის გზები რომლებზედაც ვხედავთ სულხანს დაუღალავად მაშვრალს თავის სამშობლოსათვისწარმოადგენს.[სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959,გვ 6.]

სულხან-საბაორბელიანიეკუთვნოდაქართველმოღვაწეთაიმდასს, რომლისმიზანსაცშეადგენდა: „თავადებისპოლიტიკურიუფლებებისშეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქოდაადმინისტრაციულისამართლისმოწესრიგება, ქვეყნისეკონომიკურიდაკულტურულიწინსვლისათვისხელისშეწყობა... საქართველოსერთსამეფოდგადაქცევა“.

XVII ს-ისმეორენახევარში „თანდათანჩამოყალიბდაიდეურ-პოლიტიკურმოღვაწეთაძლიერიდასი, - პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფოდასაეკლესიომოღვაწენი. სათანადომებრძოლიმოტივებიგაჩნდაპოეზიაში (არჩილი, იოსებთბილელი),

საამისოდგაიმართაისტორიაც („ახალიქართლისცხოვრება“), გაჩაღდამაჰმადიანობისწინააღმდეგპროპაგანდა (იაკობდუმბაძე), დაიწყოქრისტიანობისაღდგენისაკენმიმართულიენერგიულიმოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI, დომენტი)“.

იმდროინდელ პროგრესულად მოაზროვნე ქართველებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მხოლოდ გლეხთა რაციონალური ექსპლოატაცია უზრუნველყოფდა დაქვეითებული მეურნეობის აღდგენას, ქვეყნის ეკონომიკურ დაწინაურებას. მაგრამ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ბატონყმური ურთიერთობის მოწესრიგების შედეგად.

ვახტანგ VI-ის დავალებით გაემგზავრა ევროპაში პოლიტიკური დახმარების მისაღებად. ეახლა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ს და რომის პაპს კლიმენტი XI-ს.სულხან-საბამდიდიტანჯვა-წამება გამოიარ ასაქართველოში ჩამოსვლამდე. მას გზაში ყველაფერი წაართვეს თურქებმა, ხოლო საკუთარ სამშობლოში მტრულად შეხვდნენ: დევნა დაუწყე სკათოლიკობის მიღებისა და ევროპაში წასვლის გამო. მის მოწინააღმდეგეთა შორის იყო ვახტანგის ძმაი ესე, რომელიც იმდროს ქართლს გ ანაგებდა.

ასე ჩაიშალა დასავლეთ ევროპაში სულხან- საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია. დასავლეთ ევროპის ორიენტაციის საქართველოს პოლიტიკოსებმა ვერ მიიღე სსაფრანგეთისაგანის დახმარება, რომელსაც მოელოდნენ და რისთვისაც გაემგზავრ ასულხან-საბა ევროპაში.

ყველა ავტორი, რომელიც კი დღემდე შეხებია სულხან–საბა ორბელიანის მისიას დასავლეთ ევროპაში, თითქმის ერთი და იმავე დასკვნამდე მიდის: საფრანგეთს არ ჰქონდა შორეული საქართველოს დახმარების თავი; საქართველოსათვის საფრანგეთი არ გაართულებდა ურთიერთობას თურქეთთან და ირანთან; ეკონომიურად და პოლიტიკურად დასუსტებულმა საფრანგეთის მონარქმა მხოლოდ ცარიელი დაპირებებით გამოისტუმრა ვახტანგის ელჩი; საფრანგეთს არ შეეძლო დაეთმო თავისი სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესები

ირანში საქართველოს გამო; ყოველივე ამის შედეგად შეუძლებელი იყო რეალური დახმარების მიღება საფრანგეთიდან…

2.1 .3 ილია ჭავავაძის ეკონომიკური შეხედულებანი

ბედნიერია ერი,რომელსაც ძალუძს უკიდურესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური,ზნეობრივი და სულიერი სიძაბუნის ჟამს თავისივე წიაღიდან წარმოშვას საკუთრი იარების მკურნალი, სულიერი მამა და წინამძღოლი ერისა. [თ.ღლონტი, ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა, გვ, 3]

სწორედ ასეთ მკურნალად მოევლინა მეცხრამეტე საუკუნის სნებაშეყრილ საქართველოს ილია ჭავჭავაძე.

ერთობ მრავალმხრივი და ფართოა ილია ჭავჭავაძის სამოღვაწეო ასპარეზი, რადგან ვრცელია ერის მოსაშუშებელ იარათა ნუსხა; გზა და ბილიკი მალამოთა მოსძიებლად კი - ძნელად გასაკვლევი და გასავლელი...

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ მებრძოლი კომისია, „ბოსტნეული-ბაღეული პროდუქტების“ კავკასიის გამოფენა,კახეთის „ღვინით ვაჭრობის ამხანაგობა“, ქალთა სასწავლებლების საზოგადოების თბილისის განყოფილება და სხვა.

ილია სათავეში ედგა ყოველ სასიკეთო წამოწყებას, ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო თითქმის ყველა ქართულისაზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა, წერდა წერილებსა და ნარკვევებს ქართველი ხალხის ცხოვრების ყოველ სფეროზე, მისთვის არ არსებობდა წვრილმანი, ყოველდღიური თუ სახვალიოსაზრუნავი, წერდა ყველაზე, ყველაფერზე, ვინც და რაც აფერხებდა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას.

ილია ჭავჭავაძემ ნათლად დაანახა მკითხველს, რომ მყარი ეკონომიკურიბაზისის შექმნის გარეშე შეუძლებელი იყო ქართველი ერის აღორძინებისათვის ზრუნვა,ვინაიდან „თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა. გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძღრობაა, სიმდიდრე

მივიწყებულს ეკონომიურ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის“. [ი.ჭავჭავაძე. თხზ., ტ VII, 1956, გვ 9]

თანამედროვე ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა ობიექტური განსჯა-გაანალიზების შედეგად დიდმა მწერალმა გამოკვეთა „სოფლის მეურნეობის უპირატესი როლი ეკნომიკური აღორძინების საქმეში, სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენი უფრო განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიურ წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა.თავი და ბოლო ხალხის ცხოვებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული“.[ი.ჭავჭავაძე. თხზ., ტ VII, 1956 გვ,257-258.]

სოფლის მეურნეობის თემატიკის გარშემო აღძრულ საკითხებს დიდი ილია განიხილავდა უშუალოდ სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ფონზე. მსოფლიო განვითარების ძირითადი ტენდენციების მთლიან რკალში აქცევდა საქართველოს, რომელიც შინაგანი განვითარების ძირითადი ტენდენციების მთლიან რკალში აქცევდა საქართველოს, რომელიც შინაგანი გნვითარების კანონზომიერებებით (რუსეთის გზით) თვისებრივად უკავშირდებოდა სამყაროს მოწინავე ქვეყნებში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს.

ილია კარგად გრძნობდა, რომ სოფლის მეურნეობა თავისი შინაგანი განვითარების კანონზომიერებებით უშუალოდ იყო დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან. იგი დროულად და სწორად აანალიზებდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს, ცდილობდა სამართლებრივ საწყისებზე მოეწესრიგებინა ურთიერთობები საზოგადოების ცალკეულ წოდებებსა და ფენებს შორის; შეექმნა წინამძღვრები ისეთი სამართლიანი საზოგადოების შექმნისათვის, რომლის პრინციპი იქნებოდა პატიოსანი და თანაბარუფლებიანი შრომა. სწორედ ამთვალთახედვით აყენებდა

საკითხს გლეხობასა და თავადაზნაურობის ერთიან ეროვნულ ძალად შეკავშირებისათვის.

ახალი წარმოებითი ურთიერთობების გაჩენამ, მრეწველობისა და ტექნიკისგანვითარებამ, რკინიგზის გაყვანამ წარმოშვა აქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკონომიკური დაახლოების წინაპირობები, ყოველივე ამას სულიერი დაახლოებაც უნდა მოჰყოლოდა. მაშასადამე, შეიქმნებოდა ზოგადეროვნული,სრულიად ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის წანამძღვრები. სწორედ ამ თვალთახედვით ჭვრეტდა დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემებს და მისი განვითარების პერსპექტივებს; ეს იყო სოფლის მეურნეობის საკითხებით ილია ჭავჭავაძის დაინტერესების ძირითადი მიზეზი.

მას ჰქონდა იშვიათი უნარი პრობლემებიდან არსებითის გამოკვეთისა, სასურველი მაშტაბით განზოგადებისა, მკითხველამდე მარტივი, გასაგები ფორმით მიტანისა და მისი გადაჭრის კარდინალური გზების ჩვენებისა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი, საზოგადო მოღვაწე და მოქალაქე, თავისი დროის ღვიძლი შვილია.მრავალმხრივი შემოქმედებით იგი დაკავშირებულია არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის არამედ პირველი ნახევრის პრობლემატიკასთანაც, რადგანაც სწორედ პირველმა ნახევარმა შვა რთული, უაღრესად საინტერესო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრებით აღსავსე მეორე ნახევარი საუკუნისა. ეს, რასაკვირველია, ეხება სოფლის მეურნეობასაც ამგვარი მასალის გაცნობის გარეშე შეუძლებელია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილად აღქმა, როგორც ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებში ღმად განსწავლული ერის შვილისა.

ილიას მხედველობიდან არ გამორჩენია ის არსებითი ძვრები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ქართველი ხალხის მატერიალურსა და სულიერ ცხოვრებაში, იგი დაუნდობლად იბრძოდა უცხო და მიუღებელი

ტენდემციების წინააღმდეგ, რომლებიც ვერ ეთვისებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ეროვნული დარგების ბუნებრივ ქსოვოლს.

ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა დამკვიდრების პროცერსსში ილია მტკიცედ იცავდა ადგილობრივ სოფლის მეურნეობის საუკუნოვან ტრადიციებს, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინბით სახავდა მათ შემოქმედებითად განვითარების გზებსა და საშუალებებს, იცავდა მიწათმოქმედი გლეხობის ინტერესებს.

იჭავჭავაძის სოციალურ შეხედულებათა სისტემაში უმნიშვნელოვანესია საზოგადოების განვითარების ევოლუციური თვალსაზრისი. ეს პროცესი მას წარმოდგენილი ჰქონდა რაოდენობრივ, თანდათანობით წინსვლა - მატებად და არ ცნობდა ახალ თვისობრიობაში მის ნახტომისებურ გადასვლას. საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივ ცვალებადობას ის განიხილავს როგორც აღმავალ მოძრაობას, შეუქცევად მიაჩნდა."ცხოვრება, წერდა ის, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისთვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისთანავე თესლზე ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა."ილიას ეს აზროვნება ზალიან ახლოს დგას დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქონლისა და მომსახურების სასიცოცხლო ციკლების განვითარებასთან, რომ ყოველი ბიზნეს ის საქმიანობა იწყება, განიცდის აღმავლობას, მიაღწევს პიკს, იწყება დაქვეითება, რასაც მოყვება დაცემა და მეწარმე-ბიზნესმენმა თავისი სწორი და გააზრებული ფინანსური პოლიტიკის მეშვეობით, ბიზნესს არ უნდა მისცეს ჩაკვდომის საშუალება. ეს ციკლები სულ უნდა მეორდებოდეს.

ასეთმა მრწამსმა ლოგიკურად მიყვანა ილია განვითარების ევოლუციური გზის უპირატესობის აღიარებამდე.

აღიარებდნენ რა განვითარების თანდათანობით ხასიათს, თერგდალეულები, გაერკვნენ რა პირობებში, არც რევოლუციის პროგრესულ როლს უარყოფდნენ საბოლოო ჯამში კი,გარდა მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულებისა განვითარების ნახტომისებური, რევოლუციური გზა პრაქტიკულადაც მიუღებელი ჩანდა კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ პატარა ქვეყნისათვის.

სწორედ ამ მოტივებით განისაზღვრებოდა ილიას პოზიცია სხვადასხვა სოციალური ფენის მიერ, საერთოდ-კლასობრივი ურთიერთობების განხილვისა და მათი მოგვარების პერსპექტივებზე მსჯელობისას.

ილია ჭავჭავაძე საბოლოო ანგარიშით ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომი პროგრესის საწინდარს იგი მხოლოდ ახალი, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული ურთიერთობების სრულყოფა-განვითარებაში ხედავდა, სადაც წამყვან როლს ანიჭებდა, ზოგადად, მუყაით, გონივრულ გარჯას და არა ამა თუ იმ ცალკეული წოდების წარმომადგენლებს.

ხოლო სოციალური დაპირისპირების ობიექტურად არსებულ პირობებში ილია, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტი ჩაგრული ფენების ინტერესებს იცავდა. მომავლის „სამართლიანი საზოგადოების“ შენება და თავისი მსოფლმხედველობრივი პრინციპების ხორცშეხმა კი მას მხოლოდ სოციალური თანასწორობის უზრუნველოფისა და ჩაგვრის ყოველგვარი ელემენტის აღმოფხვრის გზით მიაჩნდა შესაძლებლად.

ი. ჭავჭავადზე ცდილობდა გამოენახა ეკონომიკური განვითარების ის ოპტიმალური გზები, რომლებიც საქართველოს თავიდან ააცილებდნენ წოდებრივი დაპირისპირების გაღრმავებას. ამ მიზნით განიხილავდა იგი წოდებათა შერიგების ეკონომიკურ, იურიდიულ და ზოგადპოლიტიკურ საფუძვლებს და ცხადყოფდა, რომ ამის მიღწევა მხოლლოდ კარდინალური ეკონომიკური გარდაქმნებით, მესაკუთრეთა ფენის გამრავლება-გაძლიერებით, შესაბამისი

მოქნილი კანონმდებლობითა და თვითმმართველობის დემოკრატიული სისტემის შემოღებით გახდებოდა შესაძლებელი.

წოდებრივი დაპირისპირების აღმოფხვრით თერგდალეულები, უპირველესად, ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი ხალხის დარაზმვაზე ოცებობდნენ. მათ იდეალს ერთიანი, ძლიერი განუყოფელი სამშობლო წარმოადგენდა და არა დასებად, კლასებად დაყოფილ-დანაწევრებული ქვეყანა. არა ბრძოლის ალის გაღვივება მათ შორის , არამედ შერიგება, თანამშრომლობა, მამულის გამოხსნისა და აყვავებისათვის ერთ მუშტად შეკვრა. რაც ესოდენ ესაჭიროება დღევანდელ საქართველოს.[ავტორი ნ.ფ.]

ი ჭავჭავაძე ყოველი სახელმწიფოს, საზოგადოების განვითარების მტკიცე საფუძვლად შესაბამის ეკონომიკურ ბაზისს თვლიდა. ამიტომაც მოითხოვდა გადაჭრით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ გარემოებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრას - იგი მკაცრად ილაშქრებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მანკიერი ორგანიზაციის წინააღმდეგ, როგორიცაა ბატონყმობა მისთვის დამახასიათებელი იძულებითი შრომითადა არარენტაბელური ეკონომიკური სტიმულებით.

საგლეხო რეფორმამდე და შემდეგაც ილია და მისი მრავალრიცხოვანი თანამოაზრეები თანამიმდევრულად იბრძოდნენ საზოგადებაში ანტიბატონყმური იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის, ბატონყმობის გადმონაშთების - სოციალური უსამართლობის, არაადამიანური ჩაგვრის უზრუნველყოფის აღმოფხვრისათვის.

ამრიგად,ილიას პროგრამა ითვალისწინებდა სოციალური ურთიერთობების სამართლიან საფუძველზე მოწყობას, რასაც კერძო საკუთრების პირობებში, თავისუფალი „ახსნილი შრომის“ ფაქტორს უკავშირდება.

ჩვენში ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი (სათემო) და კერძო (პირადული) საკუთრების სახეების შესწავლას ერთ-ერთმა პირველმა სწორედ ი.ჭავჭავაძემ მოამზადა, მოჰკიდა ხელი. მან სავსებით სწორად მიუთითა

თავდაპირველად საზოგადოებრივი მფლობელობის ეკონომიურად წარმმართველ როლზე და ზუსტად აღწერა მისი ფუნქციონირების მექანიზმი. ხოლო მოგვიანებით კერძო საკუთრების გაბატონების მიზეზთაგან უცხო ხალხის შემოსევებისა და საკუთრივ შრომის ფაქტორი გამოჰყო.

საყურადღებო და მრავლსმთქმელია, რომ ილია საკუთრების ორივე ფორმის არსებობის საფუძველს ადამიანის ბუნებაში ხედავდა: ,,ერთის მხრივ იგი ცალკე სულიერია, რომელიც მრავალგვარად გადაბმულია და დამოკიდებულია სხვა თავის სულიერებაზედ იმ აუცილებელი საჭიროების გამო, რომ მარტოდ ცხოვრება უნებითად არ უწერია და უნდა უსათუოდ ცხოვრობდეს თავისთა მსგავსთა შორის.“

ი.ჭავჭავაძე დღის წესრიგში აყენებდა საზოგადოებრივი ურთიერთობების ჰარმონიზაციის, მისი სამართლიანობის პრინციპზე აგების მოთხოვნას, რათა სოციალური სფეროს დემოკრატიზაციით, მისი გაჯანსაღება-გადახალისებით იმპულსი მისცემოდა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას.

ილია ცხოვრებიდან აღებული მაგალითების მოშველიებით ნათლად განმარტავდა ეკონომიკურ კატეგორიებს, რითაც ხელს უწყობდა საზოგადოებაში შეაბამისი ცოდნის გავრცელებას. იგი ღრმა ლოგიკითა და თეორიული ცოდნით შეიარაღებული აანალიზებდა ეკონომიკური აზროვნების ისეთ ურთულეს ცნებებს, როგორიცაა ფული, საქონელი, ბაზარი, საქონელმიმოქცევის სახეები, ღირებულება, ფასი და სხვა.

ილიას ღრმა ეკონომიკურ განსწავლულობაზე მეტყველებს მისი გამონათქვამები ღირებულებასა და ფასზე.იგი საქონლის საცვლელღირებულებას მასზე დახარჯული აბსტრაქტული შრომით, ანუ მისი დამზადებისათვის აუცილებელი დროით საზღვრავდა. ღირებულების ცნების ასეთი განმარტება დღესაც სწორად და მისაღებად უნდა ჩაითვალოს

ილია თავის წერილებში ჩვენი ქვეყნის წარმოების განვითაების კონკრეტულ შეაძლებლობებსაც წარმოაჩენდა, განმარტავდა სასოფლო-სამეურნეო საქონლის კონკურენტუნარიანობის პირობებს, მისი თვითმართვლობის

შემცირების გზებს; წარმოებს სტიმულირებისათვის აუცილებლად მიაჩნდა სოფლად ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკური გატარება. ამ მიზნით „საგლეხკაცო-საადგილმამულო ბანკის“ დაარსების მოთხოვნა.

ი.ჭავჭავაძის ეკონომიკურ შეხედულებებს მრავალმხრივ ჰფენს შუქს წლების მანძილზე „სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის „ხელმძღვანელად მისი პრაქტიკული მოღვაწეობა. მძაფრი წინააღმდეგობების მიუხედავად, მან შეძლო ეს ბანკი ფაქტობრივად საერთო- ეროვნულ კუთვნილებად გადაექცია, რაც ეროვნული იდეისადმი ერთგულების კონკრეტული გამოხატულება იყო.

მოწინააღმდეგენი ბანკის არსებობისა და წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელი წესრიგის პრინციპულ გატარებას გულქვაობად უთვლიდნენ ილია ჭავჭავაძეს. არადა კანონზომიერ მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა უგულვებელყოფა, რა კეთილშობილური მოსაზრებითაც უნდა ხდებოდეს ეს, შესაბამისი წამოწყების კრახის მომასწავებელია.

ილია ჭავჭააძეს ღრმად ჰქონდა შესწავლილი ბანკის საარსებო მექანიზმი და გარეგნული გულკეთილობით აღბეჭდილ მოსაზრებებს არ ანაცვლებდა ამ დიდ წარმატებას, იგი შეუვალი, მეცნიერულად დასაბუთებულ არგუმენტებით აბათლებდა მიუღებელ მოთხოვნებს.

ილიას პრინციპულობამ, შრომისმოყვარეობამ, გულისხმიერებამ და საბანკო ცხოვრების კანონების განუხრელმა დაცვამ ბანკის საქმიანობის საკმაო წარმატება და მნიშვნელოვანი მოგება განაპირობა, რაც განათლბისა და კულტურის წინსვლას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ხმარდებოდა.

ამრიგად ილიას ეკონომიკურ იდეებს, თეორიულთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. ეს იდეები აქტუალურია დღესაც, რცა უარს ვამბობთ წარმოების მართვს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ პრაქტიკაზე და ვცდილობთ ეკონომიკურ კანონზომიერებათა საფუძველზე მივაწყოთ იგი.
იჭავჭავაძე ეკონომიკური აზროვნების სფეროშიც მნიშვნლოვნად წინამძღვრობდა ერს.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ქართული არისტოკრატიარუსეთში იქნა გადასახლებული. ქართული სახელმწიფოებრიობა დაქართული ფეოდალიზმი, ანუ მოსახლეობის მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული სისტემა გაუქმდა. სკოლებში, ეკლესიასა და სასამართლოში საქმის უცხოენაზე წარმოებამ მოსახლეობასა და ისედაც არალეგიტიმურად აღქმულ რეჟიმს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობა მოსპო. თაობები დარჩნენუწიგნურნი, ეს გარემოება განსაკუთრებით უწყობდა ხელს დეზინტეგრაციისპროცესს. ამ უფსკრულის ამოვსებას ილია ჭავჭავაძე „მომრიგებელიმოსამართლის“ ინსტიტუტის შემოღებით ცდილობდა. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა-ანბანის რეფორმირება, თანამედროვე ლიტერატურული ენის დახვეწა, მას იმდროინდელი ევროპული ეროვნული მოძრაობების გმირების რიგში აყენებს. ხოლო ლოზუნგი „მამული, ენა,სარწმუნოება“ ქართველებისათვის ეროვნული ინტეგრაციისორიენტირების სიმბოლო და მაჩვენებელია. სოციალური პრობლემების მოგვარებას ილია ჭავჭავაძე საქართველოში ეროვნული ბურჟუაზიის,ქართული მესამე წოდების აღმოცენებაში ხედავდა.XIX ს-ის ევროპაში მიმდინარე ეროვნული მოძრაობები მიზნად ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ისახავდნენ და ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა ბურჟუაზია იყო. ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომი პროგრესის საფუძველს ილია ჭავჭავაძე ბურჟუაზიული ურთიერთობების სრულყოფა-განვითარებაში ხედავდა, სწორედ ამიტომ ითხოვდა ეროვნულ დამოუკიდებლობას ,მაგრამ ,როგორც რეალისტი, პოლიტიკური ავტონომიის ფორმას სჯერდებოდა ილია ჭავჭავაძისათვის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა ეროვნული „მესამეწოდების“ მიერ დაფუძნებულ სოციალურ წესრიგს ნიშნავდა. მას მომავლის სამართლიანი საზოგადოების შენება მხოლოდ სოციალური თანასწორების უზრუნველყოფისა და ჩაგვრის ყოველგვარი ელემენტის აღმოფხვრის გზით მიაჩნდა შესაძლებელი.იგი ცდილობდა გამოენახა ეკონომიკური განვითარების ის ოპტიმალური გზები, რომლებიც საქართველოს თავიდან ააცილებდნენ წოდებრივი დაპირისპირების გაღრმავებას. ამიტომ განიხილავდა წოდებათა

შერიგების ეკონომიკურ,იურიდიულ და ზოგად პოლიტიკურ საფუძვლებს და თვლიდა, რომ ამის მიღწევა მხოლოდ კარდინალური ეკონომიკური გარდაქმნებით, მესაკუთრეთა ფენის გამრავლება გაძლიერებით, შესაბამისი მოქნილი კანონმდებლობითა და თვითმმართველობის დემოკრატიული სისტემის შემოღებით გახდებოდა შესაძლებელი.ილია სახელმწიფოს განვითარების მტკიცე საფუძვლად ეკონომიკურ ბაზისს თვლიდა. ა ამიტომ მოითხოვდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ გარემოებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრას და მკაცრად ილაშქრებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მანკიერი ორგანიზაციის წინააღმდეგ, როგორიცაა ბატონყმობა მისთვის დამახასიათებელი იძულებითი შრომითა და არარენტაბელური ეკონომიკით. იგითვლიდა, რომ საზოგადოება კლასთა და ფენათა დაპირისპირები
-
თა დაბრძოლით სასიკეთოდ ვერ განვითარდებოდა და კატასტროფამდემივიდოდ ა, რისი გადატანა ძალიან ძვირად დაუჯდებოდა ერებსა და მთელ კაცობრიობას.ის იზიარებდა ინგლისური კლასიკური პოლიტეკონომიის კორიფეებისაზრს იმის შესახებ, რომ გაბატონებულ კლასებს თავისი მოგების ნაწილი მშრომელებისათვის უნდა გაეყოთ და საქართველოში მიწათმფლობელებს გლეხი უმიწოდ არ უნდა დაეტოვებინათ.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ილია იბრძოდა მიწით სარგებლობის გადასახადის შემცირებისა და გლეხობის მესაკუთრედ ქცევისთვის, რასაც წარმოებისადმი ინტერესის გაძლიერება და პროდუქციის ზრდა უნდა მოჰყოლოდა. ილიას პროგრამა ითვალისწინებდა სოციალური ურთიერთობების სამართლიან საფუძველზე მოწყობას, რაც კერძო საკუთრების პირობებში თავისუფალ შრომის ფაქტორს დაუკავშირდებოდა.
დაუკავშირდებოდა.საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ილიამ მისიცხ ოვრების განმსაზღვრელი პოზიცია აირჩია: სამართლის წინაშე ფორმალურად თანასწორ საზოგადოებაში, შესაძლებელია ყველა დაპირისპირების მშვიდობიანი გადაჭრა, ყველა ადამიანის

მესაკუთრედ ქცევა და ყველასთვის შრომის აუცილებლობა. მასსჯეროდა, რომ აღუ ლის მიღწევა შშესაძლებელი გახდებოდა
არსებული შესაძლებლობების გონივრული გამოყენებით.ილიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხიზნობასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას. იგი ხიზნობის ძირითად პრობლემას მუშახელს მოკლებული მიწის არსებობაში ხედავდა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ უმიწო გლეხების სიმრავლემ საიჯარო გადასახადების ზრდა გამოიწვია. ხიზნობისათვის სავალდებულო იყო მიწათსარგებლობის ყოველწლიური გადასახადის გადახდა, რაც ,,სამართლიანი საზოგადოების" ჩამოყალიბების საფუძველი უნდაგამხდარიყო.ხიზნობას, ილიას აზრით, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე უნდა მოეწესრიგებინა მიწათმოქმედისა და მიწათმფლობელის ურთიერთობები. ,,სამართლიანი საზოგადოება" უნდა დაფუძნებოდა თავისუფალი ადამიანების მიერ შექმნილ ისეთ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც გამორიცხავდა ყოველგვარ ჩაგვრასა და უუფლებობას. ივ. ჯავახიშვილის თქმით, მან ,,ჯერ კიდევ 1880 წელს აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიკური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა''. ილიამ გაანალიზა ისეთი ისეთი ეკონომიკური კატეგორიები, როგორიცაა ფული, საქონელი, ბაზარი, ღირებულება, ფასი და სხვა.

ილია აღნიშნავდა საქონელმიმოქცევის როლს ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში. იგი ხაზს უსვამდა წარმოების როლს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. სასოფლო-სამეურნეო საქონლის კონკურენტუნარიანობის პირობების განსაზღვრას, თვითღირებულების შემცირების გზების ძიებას, სოფლად ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას ილია წარმოების სტიმულირებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა.იგი აღნიშნავდა, რომ ...მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აღიგავა ის ქვეყნები, რომლებმაც უგულებელყვეს წარმოების განვითარების მნიშვნელობა. ამით მოეღო ბოლო დიდ ისრაელს, დიდ საბერძნეთსა და დიდ რომს.

,,სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის" დაარსება და ხელმძღვანელობა ნათელი მაგალითია ილიას ეკონომიკური შეხედულებებისა.

ილიას პრინციპულობამ, შრომისმოყვარეობამ, გულისხმიერებამ და საბანკო კანონების განუხრელმა დაცვამ ბანკის საქმიანობის წარმატება და მომგებიანი ფუნქციონირება განაპირობა.ბანკიდან მიღებული შემოსავლები განათლებისა და კულტურის განვითარებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას მოხმარდა. ბანკი საერთო-ეროვნულ კუთვნილებად იქცა.ილიას ეკონომიკურ იდეებს აქვს უდიდესი თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი აქტუალურია დღესაც, როდესაც უარი ვთქვითწარმოების მა რთვის ადმინისტრაციულ -ბიუროკრატიულ მეთოდებზე

და ვცდილობთ ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას.

ილიას დროინდელ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, იცავდნენ კერძოს მიმართზოგადის უპირატესობის დებულებას. სოციოლოგიაში ამის გადმოტანანიშნავდა, მთელის უპირატესობას აღიარებას ნაწილის მიმართ, იმას, რომპიროვნება უნდა ემსახურებოდეს ერს, საზოგადოებას და სახელმწიფოს,რადგან ისინი ღვთაებრივის განხორციელებანი არიან დედამიწაზე და ესსაუკეთესო გარანტიაა პიროვნებისათვის. 1882 წ. ილიამ წამოაყენადებულება იმის შესახებ, რომ ადამიანი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო,ცხადია, გარკვეული უფლებების მქონეა, მაგრამ "უმაღლესი საგანია"კონკრეტული პიროვნების უფლება. იგი უპირატესია სახელმწიფოსა დასაზოგადოებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობარუსეთის იმპერიისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა,რადგან მის მიერ განვითარებული შეხედულებანი წოდებათა შერიგებაზე,შრომის საყოველთაო ვალდებულებაზე, მაღალი წოდების დამოწაფებაზე ზეგლეხებთან, მათ წინაშე ბოდიშის მოხდაზე, კაცობრიობის ზნეობრივი დასამართლებრივი განვითარების მაღალ საფეხურებს შეესაბამებოდა. მას სურდა, რომ ეკონომიკისა და მეცნიერების განვითარების მთავარი მიზანიყოფილიყო საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობა, ამიტომ

მის მიერ არჩეული გზაშეუსაბამობაში მოდიოდა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებსთან და იქ არსებულ სოციალურ წესრიგთან.

„ილია მთელი თავისი შეგნებით, ლიტერატურული ნაწერებით, მოღვაწეობით მშობელ ერს ეხმარებოდა, გაეცნობიერებინა ახალი ეპოქის მოთხოვნილებები: საჭირო იყო არა მხოლოდ ლიტერატურა, თეატრი, ლექსი, პოეზია, არამედ ბანკი, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, უპირველესად კი ეკონომიკური, ისე ახალი თაობის წარმომადგენლებს გააწბილებს. „საქრთველოს მოამბე“ ის ნიშანსვეტია, რომლითაც იზომება ეროვნული გამოცემები. მასთან გატოლებისა თუ კვალში დგომის სურვილი ბუნებრივად იბადება და ჩნდება კიდეც პარალელები. ამ ჟურნალმა ფერი უცვალა სამამულო პრესას და განვითარების მრავალასპექტიანი კონტურები მოხაზა; უფრო მეტიც, ლიბოდ დაედო თანამედროვე ქართულ მასმედიას“.

„საქართველოს მოამბის“ #10-ში დაბეჭდილია თარგმანი პრუდონის წერილისა _ „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“. აზრი პუბლიკაციისა ის გახლავთ, რომ რომელიმე ხალხის კეთილმდგომარეობა თურმე მარტო იმით კი არ გამოიხატება, სარჩო ბევრი აქვს თუ არა, უფრო იმითეს სარჩო ყველასთვის მისაწვდომია და თანასწორად განაწილებული თუ არა. რადგან ასეთი რამ არსად არ ხდება, ე.ი. ყველა ხალხი კეთილმდგომარეობას მოკლებულია. და საზოგადოება, თვალად მდიდარი, სინამდვილეში ღარიბია და უილაჯო.ეკონომიკის პირველი და საშინელი კანონია ჭამა-სმის აუცილებლობა და მისი მოქმედებით პირუტყვებზე უარეს ნიც ვხდებით ხოლმე (მოტყუებას, ძალადობას, კაცის კვლასაც... არ ვერიდებით). მეორე კანონი ის გახლავთ, რომ ჭამა-სმის აუცილებლობის ძალით, აუცილებლად უნდა ვიმოქმედოთ და ვიშრომოთ. ეს მარტო ხორცს კი არ არგებს, არამედ სულსაც ააყვავებს. მეცნიერება, ხელოვნება, სიმდიდრე – სულ შრომის ნაყოფია. ე.ი. საჭიროების კანონი გვამდაბლებს, მაგრამ შრომის კანონი გვამაღლებს.

ახლა მესამე კანონი ვნახოთ.კაცის მიერ მოხმარების შესაძლებლობასა და მის სურ- ვილებს საზღვარი არა აქვს, მაშინ, როდესაც კეთების, შექმნის ნიჭი, უნარი დასაზღვრულია.

სამყაროში ყველაფერი დასაზღვრულია და გარკვეულ წესრიგს ემორჩილება. კაცსაც თავისი შრომით იმდენი ეძლევა, რამდენიც საჭიროა მისი ხორცისა და სულისათ- ვის. აი, ამას ჰქვია „სიღარიბე“ და ეს გახლავთ ეკონომიკისმესამე კანონი. აქ შემდეგ საუბრობს ზომიერების აუცილებლობაზე (რომელიც ოთხ სათნოებათა შორის უპირ- ველესია). კაცის ცხოვრების წყარო შრომა და სიღარიბეა,„ბევრს მუშაობდე და გაუწყვეტლად სწავლობდე – აი წესი, რომლის მაგალითსაც სახელმწიფო თავის ხალხს უნდა უჩვენებდეს“. „უნდა... შრომა და ღვაწლი თანასწორად იყოს ყველასაგან კისრად აღებული თავის ნიჭის და შეძლების მიხედვით და ყოველს მუშაკს მის ნამუშევრის და გვარად ფასი უნდა ეძლევოდეს. თუ ეს თანასწორობა არ გექნებათ, თქვენ სიგლახაკეში იქნებით და მთელი თქვენი ნამუშევ- რობა თქვენთვის უბედურება იქნება“. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური კრიტიკის შიგნით არსებული სამი ძირითადი ვექტორი. რომელიც აღნიშნული მეთოდით კვლევის საგანსაც და თავად მეთოდსაც მეტი სიცხადით წარმოაჩენს:

ა)ლიტერატურის ეკონომიკა, ანუ ლიტერატურის ფუნქიონირების ეკონომიკური (პროფესიული ინსტიტუციური) ასპექტების ანალიზი. მასში შედის: ტირაჟის, მასობრივი და ელიტარული წიგნების ბაზრების,ლიტერატურული მარკერტინგის, ჰონორარის, პატრონაჟის ლიტერატორთა პროფესიონალიზაციის პროცესის შესწავლა,რაც ამდიდრებს ლიტერატურის ისტორიას,ცხადყოფს ლიტერატურული ფაქტების მნიშვნელობას.

ბ)ეკონომიკა ლიტერატურაში ლიტერატურულ ნაწარმოებებში წარმოდგენილი ეკონომიკური ცნებებისა და მოვლენების ანალიზი, ეკონომიკური პრობლემატიკის ასახვა მხატვრულ ტექსტში

გ) ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა ლიტერატურულ და ეკონომიკურ ღირებულებათა რიტორიკის ურთიერთზემოქმედების ანალიზი;ეკონომიკის რიტორიკა და ტექსტუალური ეკონომიკა.

ახალი ეკონომიკური კრიტიკის ამ სამ ძირითად ვექტორთაგანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევა უპირატესად მაინც იმ მიმართულებითაა შესაძლებელი,რომელსაც „ეკონომიკა ლიტერატურაში“ ეწოდება. ლიტერატურაშია ასახული ეკონომიკა ეს არის ლიტერატურულ ნაწარმოებში წარმოდგენილი ეკონომიკური ცნებების დამოკიდებულეის ანალიზი.

ლიტერატურულ ტექსტებში უკუფენილი ეკონომიკური პრობლემები. თუმცა ილიას რანგის შემოქმედის კვლევისას ვერც დანარჩენი ორი ვექტორის იგნორირება მოხერხდება.

ილია ჭავჭავაძე მთლიანი პიროვნება იყო. ამიტომ მის მხატვრულსა და პუბლიცისტურ ტექსტებში საკმაოდ თვალნათლივ იკვეთება იდეურ-კონცეპტუალური პოზიციის არსობრივი კავშირი სახეობრივ სისტემასთან, რასაც ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ილიალოგები კრიტიკული და მხატვრული ნარატივის ურთიერთდაახლოებას, მათ ერთგვარ კორელაციას უწოდებენ (კალანდარიშვილი, 2007, 28). ილიას მხატვრული აზროვნების სწორედ ეს თავისებურება გვაძლევს საშუალებას მისი ტექსტების ანალიზისას გამო- ვიყენოთ ეკონომიკური კრიტიკის მეთოდოლოგია და თა- მამად ვისაუბროთ ახლა უკვე ლიტერატურულ და ეკონომიკურ დისკურსთა თანაარსებობის სრულიად გარკვეულ ფორმებზე. მაგალითისთვის გავიხსენოთ ილიას წერილე- ბი მევენახეობა-მეღვინეობაზე, ვენახის განაშენიანების ტექნიკურ საკითხებზე, ღვინის დაყენების ისტორიულად ადაპტირებულ თუ მომავალში დასახვეწ წესებზე. ეს ცოდ- ნა ირიბად არეკლილია კიდეც არჩილისა და გიორგის იმ საუბარში, რომელსაც „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ-ერთ თავ- ში, სახელწოდებით „უცნაური წკიპურტი“, ვხვდებით; ან ავიღოთ ოთარაანთ ქვრივის ურთიერთობა მათხოვართან, რასაც

თავად ილია „პილპილმოყრილ მადლს“ უწოდებს. ეს ურთიერთობა, რომელიც, პირველ რიგში, მათხოვარში კონკრეტულად პიროვნული ღირსების გაღვივებას, უფრო ზოგადად კი _ უსაქმურობისა და მცონარობის გმობას ემსახურება, საკმაოდ წინააღმდეგობრივია.

ილიას ეკონომიკური ხედვა თავდაპირველად რეპრეზენტირებულია აზრობრივად მეტად ტევადსა და ზუსტ იდე- ოლოგემაში: „სხვის დახლთან მდგარი ერი“ [ნინიძე, 2007, 11], რომელიც აღებ-მიცემობასთან, როგორც ცხოვრების ახალ სავალდებულო წესთან და ქართველთა მიერ ამ წესის უგულებელყოფასთან ასოცირდება: „ჩვენი უღონობა, ჩვენი უსაქმურობა სხვას საქმიანობათ გაუხდია. ჩვენი უცოდინა- რობა სხვის ცოდნად ქცეულა და ამების წყალობით ჩვენი ქვეყანა დღეს წარმოადგენს თაფლს, რომელსაც ბუზი ბაღ- დადიდან მოჰყავს... ჩვენს გარეთ კი ჩვენი ხსნა სიზმარია...“ ილიას ტექსტებიდან ამგვარი და ამაზე ბევრად უფრო მწა- რე ციტატების ამოკრეფა არავის გაუჭირდება. თუმცა აქ საყურადღებო ისაა, რომ 1863 წელს დაწერილი „კაციაადამიანის“ ერთ თავში, რომელსაც პირობითად „სადარბაზო ხანი“ შეიძლება ვუწოდოთ, პერსონაჟთა ბრიყვულ დიალოგებში (ეს დიალოგი დარეჯანს, ელისაბედსა და ლუარსაბს შორის იმართება) უკვე ჩანს პრობლემის სათავე _ ჩვენებუ- რი თავადაზნაურობა, რომელიც არა მარტო უუნარობას, არამედ ცხოვრების რეალური რიტმისგან, მისი საჭიროებისგან სრულიად

რეფორმის შემდგომი პერიოდი ილიას სოციოლოგიური ფილოსოფიისა და ეკონომიკური მოძღვრების საბოლოოდ დახვეწა ჩამოყალიბებას ემთხვევა მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში შემოქმედებითი მუშაობისთვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩება, მაინც იქმნება საეტაპო მხატვრული ნაწარმოები („ოთარაანთქვრივი“), რომელშიც აკუმულირებულია“წოდებათაშერიგების“ ანუ როგორც ტექსტში ვკითხულობთ, „ხიდჩატეხილობის“ პრობლემაც და გადაწყვეტის გზებიც იკვეთება გლეხობაზე, უფრო სწორად კი, მის ყველაზე საღ ნაწილზე(თავად თარაანთ ქვრივი) ორიენტირებული მომავლის კულტურული პროგნოზი, რომელიც რევოლუციური ძვრების გვერდის ავლით როგორც მაღალი, ისე

დაბალი სოციალური ფენების ქრისტიანულ შეგნებასა და ცოდნით გამყარებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება. ფაქტობრივად, ეს ქრისტიანული მორალისა და ეს ქრისტიანული მორალი სა და კაპიტალისტური ეთიკის მორიგების ცდაცაა, რასაც ილიასთვის როგორც მისი მხატვრულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან ჩანს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.უმთავრეს ამოცანად „ყოფილ ყმაში თავისუფალი მესაკუთრის შეგნების აღზრდა“ რჩება.

ეს პროცესი კი საზოგადოების განვითარების ილიასეულ გაგებასაც უკავშირდება, რადგან „ილიას სწამდა პროგრესის არა მარტო ეკონომიკური და სამართლებრივი,არამედ ეთიკური მხარეც“.გლეხის ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია „დროთა შესაფერისი საქმიანობის“ სწორად აღქმასა და სისტემურ აღსრულებაში.

„ ოთარაანთ ქვრივში ასევე კარგად არის გადმოცემული მთავარი პერსონაჟიოს დამოკიდებულება ფინანსებთან, როდესაც მწერალი გვიყვება ხუთიუ ქისის ამბავს: ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისთვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა.ჩანთასავეთ შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად.მეორე ქისას ბარაქალა ქისას ეძახდა.ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა „მიეცი და მოგეცესო“ მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსიღას“ ქისას ეძახდა ხან შიოს მარანსა“[ი.ჭავჭავაძე. ოთარაანთ ქვრივი]. ამ ხუთი ქისის ამბავში კარგად ჩანს ფინანსური გადანაწილების ფუნქციები, რაც საშუალებას იძლევა ფინანსების სწორად დაიგეგმვასა და გადანაწილებაში.

2.1.4აკაკი წერეთელი და შეხედულებები ეკონომიკაზე

ხალხის ისტორიის სუბიექტად წარმოჩენა, მისი სახელით აპელირება, რასაც აკაკი ხშირად მიმართავდა, ისევე, როგორც ხალხის გენიის გადაჭარბებული შეფასება, იმ გარდამავალი ეპოქის გამოძახილი იყო, რომელშიც პოეტი ცხოვრობდა. სწორედ ამ ეპოქამ მოამწიფა და შეუქცევადი გახადა ჯერ დასავლეთ, შემდეგ კი აღმოსავლეთ ევროპაში ლამის საყოველთაო ფსიქოზად ქცეული იდეოლოგი- ურად კარგად შეფუთული სოციალური რევანშის იდეა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი სიახლე. აკაკის მოღვაწეობის პერიოდი, რომელსაც საფუძვლიანად უწოდებენ როგორც „დიდი რე- ფორმების“, ასევე ტერორიზმის ზრდისა და რევოლუციური პროტესტის ღიად გამოხატვის ხანას, ყურადღებას.

ბატონყმობის რეფორმირების პერიოდში (იქ ჩრდილოეთში უკვე გამოცხადდა მანიფესტით, აქ ჩვენთან სადა- ცაა უნდა გახმაურდეს) რუსეთიდან ჩამოსულ აკაკის (1862), როგორც თანამედროვენი ირწმუნებიან, სახელმწიფო და- წესებულებებში სამსახურს სთავაზობენ, თუმცა ახალგაზრდა თავადიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ ბევრისთვის გაურკვეველი ღირებულებებით, მოხელეობა- ჩინოვნიკობის მოძულე აღმოჩნდება. ამით იგი მის მომლოდინე როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლებს გააწბილებს.

თავის ხანგრძლივ და რთულ შემოქმედებით გზაზე აკაკიმ არა მარტო აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართულინ ლიტერატურისა და კულტურის გარდაქმნაში,არამედ შეძლო ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი მწერლის სახელის დამკვიდრებაც, რაც ჩვენი საზოგადოების განვითარების მთელ რიგ თავისებურებათა გათვალისწინებით, სერიოზულ სირთულეს წარმოადგენდა.მკლევართა ის ჯგუფი,რომელიც ეკონომიკურ კრიტიკას ლიტერატურული კვლევების ახალ და პერსპექტიულ მიმართულებად მიიჩნევს, ტერმინ „პროფესიონალიზმს“როდესაც მას ლიტერატურასთან მიმართებით

განვიხილავთ, სამი სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგენს: ა)როგორც ‘მოწოდებას“ ბ) როგორც ფინანსურად სტაბილურ საქმიანობას და არსებობის ძირითად საშუალებას; გ) როგორც ავტორის ხაზ გასმულ პატივისცემას სიტყვისადმი, ამასთან კრიტიკოსის პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე.

აკაკი აქტიურად იყო სხვა მწერლებთან ერთად ჩართული საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების ბრძოლაში, ის თავისი ნაშრომებით ცდილობდა თვალი აეხილა საზოგადოებისათვის, მნიშვნელოვანი ფიგურა იყო იმ დროინდელი საქართველოსთვის.

2.1.5 ერეკლე II-ის ეკონომიკური კონცეფციები

ქართველი ერის ისტორიაში მეცხრამეტე საუკუნეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ახალი ცხოვრების მიჯნაზე მდგარმა საქართველომ მეთვრამეტე საუკუნისაგან ანდერძად მიიღო ქვეყნის ეკონომიკურად მოშლილი მექანიზმი.

წინა საუკუნეების პოლიტიკურმა არეულობამ,გაუთავბელმა შემოსევებმა და აოხრებამ თითქმის გაპარტახებამდე მიიყვანა საქართველოს სახალხო მეურნეობა.

რუსეთთან შეერთების შემდეგაც საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების სასურველ კალაპოტში ჩაყენება კარგა ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა ამიერკავკასიაში ცარიზმის დაუსრულებელი პოლიტიკური მანევრების გამო.

” საქართველოსა და ამიერკავკასიის სამეფოების, სამთავროების, სახანოებისა და საფაშოების რუსეთის იმპერიასთან შეერთება 1801 წლიდან დაწყებული რიგი ათეული წლების მანძილზე, არსებითად თვით 1880 -იან წლებაამდე გრძელდებოდა, თუმცა, მართალია, იმპერიამ ე.წ „კავკასიის ომების“ დასრულება ბევრად ადრე, 1864 წელს, დიდის ზარ-ზეიმით აღნიშნა“[პ. გუგუშვული. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ,IV 1979, გვ.6.] ამგვარმა პოლიტიკურმა გარემოებებმა დიდი ხნით შეაფერხეს ამიერ კავკასიის ეკონომიკური განვითარეა.

რუსეთის იმპერიის გლობალური ინტერესები ამიერკავკასიაში, სამხედრო-პოლიტიკური აქციების პარალელურად, ვლინდებოდა ვაჭრობის გზით

ამიერკავკასიის ეკონომიკური დაპყრობის პოლიტიკაში, ქვენისსამეურნეო ცხოვრებაში შეღწევსა და დომინირებული პოზიციების მოპოვები მცდელობაში.

ამიერკავკასიაში მრეწველონია და მიწათმოქმედების განვითარების საუკეთესო საშუალება ვაწრობა იყო.ამიტომაც საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი დღიდანვე ვაჭრობის სასურველი მდენარებით წარმართვას განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ცარიზმის საგარეოპოლიტიკური კურსის განსაზღვრაში.

„შეიძლება გარკვეული გაგებით ითქვას, რომ 1800-1821 წწ. ამიერკავკასიაში ვაჭრობის ისტორიაა, ეს არის რუსეთის სავაჭრო კაპიტალის მიერ აქ, ჯერ კიდევ XVIII საუკ.მეორე ნახევრიდანვე ინტენსიურად დაწყებული, დაზვერვის შემდგომი გაფართოების დაუშუალო შემოჭრის პირველი ნაბიჯების ისტორია.“[პ.გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს ტ.I 1949 გვ, 49.]

მმართველობის პირველხანებში ამიერკავკიის ეკონომიკური დაპყრობისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა რუსეთის მთავრობას სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. მიუხედავად ამისა, შემდგომ პერიოდშიც.

ვინაიდან კერძო ინიციატივები არ არსებობდა და იმ დროინდელ რეალობაში ვერც აღმოცენდებოდა, სამეფო კარმა გადაწყვიტა ვაჭრობა მრეწველობის განვითარებაში თავად გამხდარიყო წარმმართველი ძალა.აკად. გუგუშვილი თავის ნაშრომში კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერ კავკასიაში,მართალია საკითხს ამგვარად არ აყენებდა მაგრამ ფაქტობრივი მასალის მოტანის შემდეგ აღნიშნავდა: კერძო კაპიტალისტური სარეწავების წარმოქნა იმ დროს ჩვენში არსებულ პირობათა საფუძველზე შეუძლებელი იყო. რაც შეეხება თოფხანას, ზარაფხანას სტამბას და სხვა სარეწავებს, რომლებიც სახელმწიფო წამოწყებათა სახით წარმოიქმნენ და ეგრედწოდებულ ანუ ფაქტურებად შეიძლება ჩაითვალონ_წარმოადგენდნენ მარჯვე მეფის მიერ თავის სამხედრო ძლიერების გაუმჯობესების, სამეფო პრეროგატივების განხორციელების

და კულტურულ საგანმანათლებლო მოღვაწეობის სფეროში მეტი თუ ნაკლები წარმატებით გადადგმულ ნაბიჯებს.

ერეკლე II –ის გეგმა მართალია,არ ითვალისწინებდა ფეოდალური ურთიერთობების მოშლას,მაგრამ მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ნახევრად დამოუკიდებელი, ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი სათავადოების სისტემის მოსპობას და პოლიტიკური უფლებების არ მქონე წოდებრიობაზე დამყარებულ სახელმწიფოს შექმნას. ამ მიზნისათვის მეფეს ესაჭიროებოდა ახალი საყრდენი ძალა.ეს ძალა უნდა ყოფილიყო ისევ თავად აზნაურთა ფენიდან და არა სხვა სოციალური ელემენტებიდან ერთისიტყვით, ერეკლე II ცდილობდა არა ფეოდალური სახელმწიფოს მოშლას,არამედ მისი მანკიერებისაგან გათავისუფლებას. ერეკლე II-ის მოღვაწეობა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სწორედ ასეთი იყო მისი ეკონომიკური კონცეფციები.როგორც ჩანს XVIII საუკუნის II ნახევარში ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფო მმართველობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ამ დროს საგრძნობლად გაიზარდა სამოხელეო შტატი. თუ წარსულში მრავალი თავადი ნომინალურად ფლობდა სახელოსნოებს და თავის ფუნქციის მიუხედავად საკუთარ სათავადოში იჯდა,ამ პერიოდში მოხელეთა კონცენტრაციას სამეფო კარის გარშემო ხდება. მათი შენახვა და ულუფა ჯამაგირით გასტუმრება, სამეფოს ხარჯებს მათი შენახვა და ულუფა ჯამაგირით გასტუმრება,ცხადია სამეფოს ხარჯებს მნიშვნელოვნად ზრდიდა. ქართლ-კახეთის სამეფოში ხშირი იყო დაქირავებული ჯარის მოწვევის ფაქტები.პარალელურად შეიქმნა საარტილერიო პოლკიდაა და ა.შ.შექმნილ ვითარებაში სამეფო კარი, ცხადია, საგადასახადო სისტემის არსებულ მოდელს ვეღარ შეურიგდებოდა და გატარებდა ღონისძიებებს მისი ცენტრალიზაციის მიზნით. გიორგი წერეთელი სოფლისა და ქალაქის დისპროპორციის ესახებ

2. 1.6 გიორგი წერეთელი სოფლისა და ქალაქის დისპროპორციის შესახებ

საქართველოში ოდითგანვე მიიჩნეოდა, რომ ჩვენი ტრადიციები და ქართველობა სოფლის მოსახლეობამ შემოგვინახა.თბილისი ყოველთვის სწრაფად ვითარდებოდა და ცდილობდა მსოფლიო ქვეყნების მსგავსად გამორჩეული დედაქალაქი ყოფილიყო, სოფელი კი უფრო მოკრძალებული ცხოვრების სტილითა და ტრადიციების შენარჩუნებით ხასიათდებოდა.ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ნატურალური მეურნეობის რღვევის შედეგად შეინიშნებოდა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების გაღრმავება, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების გაღრმავება, ქალაქის სავაწრო-სამრეწველო პოტენციალის ზრდა, მისი, როგორც სამრეწველო ნაწარმის მიმწოდებლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომხმარებლის, როლის გაძლიერება.საქალაქო ცხოვრების განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა ქალაქის მოსახლეობის ზრდა.ეს პროცესი ხორციელდებოდა საქართველოს სოფლის მკვიდრთა ხარჯზე. ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შედეგად სოფლის მკვიდრნი ტოვებდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელს და ქალაქს ეხიზნებოდნენ, რაც

ვრცლადაა წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის პუბლიცისტიკაში.

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის განვითარების პირველივე ეტაპზე სოფელსა და ქალაქს შორისარსებულმა პროპორციამ მთელი მაშტაბები შეიძინა.1865 წლიდან 1897 წლამდე საქართველოს ქალაქების მოსახლეობა 72%-ით გაიზარდა, მთელი მოსახლეობა კი მხოლოდ 40%-ით გადიდდა. მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩეოდა თბილისი,რომლის მოქალაქეთა რიცხვი ამ პერიოდში 67 ათასიდან 100 ათასამდე გაიზარდა. ილიას ქალაქი არაახირებულად სძულს,არამედ სრულიად კონკრეტული მიზეზების ერთობლიობის გამო არ ჩქარობს მის მიღებას, მათ შორის ქართველთა ხასიათში გამოკვეთილი ქალაქური ცხოვრების, როგორც სამოქალაქო თანაარსებობის რთული ფორმის, მიუღებლობის მიზეზითაც;გარდა ამისა,ილიასთვის ქალაქი უცხო ტომელთა(სპარსელთა,სომეხთა) მიერ ათვისებული საარსებო სივრცე, ასე ვთქვათ, მიტაცებული ქალაქია,რომლის გამოხსნა განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს ინდუსტრიული საზოგადოება,ქალაქური ცხოვრების წესი კი მატერიალური და სულიერი რესურსების მობილი- ზებას მოითხოვს. ილია კარგად გრძნობდა გადასაჭრელი პრობლემების კომპლექსურობასა და ურთიერთდამოკი- დებულებას. მას უნდოდა ეს ცოდნა საზოგადოებისთვის მიეწოდებინა, რაც დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. მსგავსი ამოცანის გადაჭრას არა ერთი ადამიანის, არამედ რამდენიმე თაობის ძალისხმევა სჭირდებოდა.

ილია მხარს უჭერდა სოფლად ბურჟუაზიულ ურთიერ- თობათა განვითარებას, გლეხური (ფერმერული) მეურნე- ობების ჩამოყალიბებასა და ქართველი გლეხის გადაქცე- ვას სოფლის ბატონ-პატრონად. ის მხარს არ უჭერდა ქალა- ქად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას, რადგან ეს მთელი საქალაქო ცხოვრების სომეხთა ხელში ჩაგდების პროცესის მხარდაჭერა იქნებოდა. მისი აზრით, სოფლად მომძლავრებულ ქართულ ბურჟუაზიას უნდა შეეზღუდა სომეხი ბურჟუაზია ქალაქად.

ქართული სოფლის ცხოვრების თავისებურებანი ფეოდალურ ბატონყმური და კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში

(XIX საუკუნის II ნახევრიდან) საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანა გიორგი წერეთელმა.საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოში სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა.

რკინიგზის გაყვანამ და საქარხნო საფაბრიკო მრეწველობის ზრდამ მნიშვნელოვნად დააჩქარა სოფლად კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. „თერგდალეულებმა“ დაინახეს,რომ აგრარულ ურთიერთობათა განვითარება ობიექტურ აუცილებლობად იქცა.

მწერალი ფიქრობდა ისეთ ფინანსურ წყაროზე, რომელიც მიწის მესაკუთრეს კი არ დააკაბალებდა, არამედ ფეხზე დააყენებდა მეურნეობის განვითარების საშუალებას მისცემდა. ამ ფუნქციის განმახორციელებლად გიორგი წერეთელს სასოფლო ბანკები ესახებოდა.

საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში საადგილმამულო ბანკების და არსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.ქართველი თავადაზნაურობა ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევისა და საკუთარი მეურნეობის აღსადგენის იმედსს სწორედ ამ ბანკებზე ამყარებდა. თუმცა კაპიტალის დეფიციტი სადა მეურნეობის რაციონალიზაციის პრაქტიკული გამოცდილების, უქონლობის გამო საქართველოში ბურჟუაზიული წყობის დამკვიდრების პროცესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობდა.

წერეთელი სოფლის მეურნეობის ანალიზის საფუძველზე იგი შემდეგნაირად აფასებდა სააადგილმამულო ბანკის მუშაობას: ქართული განუვითარებელი მეურნეობა ზარალიანია. იგი ოთხ პროცენტს ძლივს იძლევა შემოსავალს, ხოლო ბანკებში შესატანი ექვსი პროცენტია. ეს გარემოება არახელსაყრელია მიწის მეპატრონეთათვის, რაც თან სდევს მათი გაკოტერბა.

გ.წერეთელი აღნიშნავდა, რომ „კვალმა“ საადგილმამულო ბანკს დაუპირისპირა „მელიორაციულიკრედიტი“,რომელიც ხელს უწყობდა ყველა სახის წარმოებას

როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მას აუცილებლად მიაჩნდა ისეთ საბანკო დაწესებულებების შექმნა, რომელიც გაუმჯობესებდა მიწათ წარმოებას, ამიტპმ ცდილობდა შემოეთავაზებინა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნების ისეთი გზა, რომელიც ადამიანებს შეუქმნიდა ცხოვრების უკეთეს პირობებს.

გიორგი წერეთელი საზოგადოებას ურჩევდა ევროპული გამოცდილების გაზიარებას.ის ეცნობოდა ევროპის ქვეყნებში დაარსებული ამხანაგობების სტრუქტურას,წესდებას, მათი მუშაობის გამოცდილებას და პრესაში აქვეყნებდა/მისი აზრით ამხანაგობების უპირატესობა ცალკე პირებთან შედარებით იმაში მდგომარეობდა, რომ მათ მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ ვალის გადასახდელათ.ამხანაგობის წარმატება დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მის წევრთა კეთილსინდისიერებაზე,პასუხისმგებლობასა და წესების შესრულებაზე. ამხანაგობის წევრებ ერთანეთს უნდა დაკავშირებოდნენ საერთა შრომიშა და საერთო სავაჭრო საკრედიტო დაწესებულებებით, სადაც მათი საკუთრების ნაწილი იქნებოდა გაერთიანებული.

ამრიგად, გ. წერეთლის მიერ ასოციაცია-ამხანაგობე- ბის განვითარების პროპაგანდა მიზნად ისახავდა მოსახლეობის სიღატაკისგან ხსნას, ქონებრივი უთანასწორობის წარმოშობისათვის ხელის შეშლასა და ეროვნული წარმო- ების განვითარების ხელშეწყობას. ევროპაში არსებულ ამ- ხანაგობათა წარმატებები მწერალს არწმუნებდა საქართველოში მათი გავრცელების აუცილებლობაში. ამხანაგობა მას მიაჩნდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვ- ნელოვან საშუალებად. როგორც უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, კოოპერატივები საბაზრო ეკონომიკის საწყისი სტადიისათვის იყო დამახასიათებელი და მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში.

ასოციაციების შექმნას გ.წერეთელი ხელსაყრელად თვლიდა ქალაქის მოსახლეობისთვის, რომლებსაც ვაჭრების მიზეზით ხელოვნურად გაზრდილ ფასებში უხდებოდათ საქონლის შეძენა. მას მიაჩნდა, რომ ურთიერთ

მომხმარებელთა საზოგადოების შექმნითვაჭრებს მოსახლეობის ძარცვის საშუალება აღარ მიეცემოდათ.ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა ასოციაციათა შექმნა ვაჭრობის სფეროშიც.

გ.წერეტლის პუბლიცისტიკაში მთელი სიცხადით არის ნაჩვენები ცალკეული სოციალური ფენების ფინანსური პრობლემები,სავაჭრო და დავახშო კაპიტალზე დამოკიდებულება. ძვირი კრედიტი აფერხებდა მეურნეობიის რაციონალიზაციის პროცესს. ხშირად მსესხებელთან ქონებას საბოლოოდ ვაჭარ-მევახშენი ეპატრონებოდნენ.“ვაჭრები სწორედ ქვეყნის მატლებად გადაიქცნენ,რომელნიც სარგებლობდნენ დროით და ერს ტვის წოვენ“[წერეთელი 1871]

გ.წერეთლის პუბლიცისტიკაშიაისახა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების პროცესი.მას აფიქრებდანსაქართველოში უცხოური კაპიტალის მყარი პოზიციები და ფიქრობდა რომ ეროვნული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება დაიცავდა ქათველ ხალხს უცხოელთაეკონომიკური გავლენისაგან. იგი არამარტო კალმით ემსახურებოდა ხალხის ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესების არამედ უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესში.

იგი არამრტო კალმით ემსახურებოდა ხალხის ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებს,არამედ უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესებში.

გიორგი წერეთელი ეკონომიკური პროგრესის მიღწევში, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის პროცესს და მისი განხორციელებისათვის საჭიროდ თვლიდა სოფლის მეურნეობისათვის მიწის კერძო საკტრებაში გადაცემას,მიწათმოქმედისათვის შეღავათიანი კრედიტის მიწოდებას,აგრარული მეურნეობის ტექნიკურ გარდაქმნას,ხალხში აგრონომიული ცოდნის გავრცელებას.

იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ პროპაგანდაში, რომელიც მიზნად ისახავდა კოოპერაციული მოძრაობის პოპულარიზაცია. მას მიაჩნნდა,რომ სხვადასხვა ტიპის სამეურნეო გაერთიანებები დაიხსნიდა ხალხს მევახშეებისგან, ხელს შეუწყობდა ეროვნული წარმოების განვითარებას და სიღრიბის დაძლევას

რომსხვადასხვატიპისსამეურნეოგაერთიანებებიდაიხსნიდახალხსმევახშეთავალები
საგან,
ხელსშეუწყობდაეროვნულიწარმოებისგანვითარებასადასიღარიბისდაძლევას.
თუმცა ილიასაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ აქცენტს ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე ამყარებდა და სომხების მიმართ კეთილგანწყობას ინარჩუნებდა,რის გამოც მას სომხიფილობას სწამებდნენ. სომხების მიმართ დადებით დამოკიდებულებას სიკვდილის ბოლომდე ინარჩუნებდა.

2.1.7 ეკონომიკური აზროვნების ტრანსფორმაცია გილიპე გოგიჩაიშვილთან

ფ.გოგიჩაიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია აგრარული საკითხების, მეწარმეობისა და მასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა,რომელთა შესახებ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა „იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ანატომიის გასაღები უწოდა“. იგი იკვლევდა არამარტო მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებას.განსაკუთრებით აღსანიშნავია, ფეოდალური მიწათმფლობელობის რღვევა ამიერკავკასიაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. თუმცა XX დასაწყისშიც ფეოდალურ-მემამულური

საადგილმამულო საკუთრება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას.

ფეოდალური მიწათმფლობელობის რღვევა ამიერკავკასი- აში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. თუმცა XX საუკუნის დასაწყისშიც ფეოდალურ-მემამულური საადგილმამულო საკუთრება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ინარჩუნებდა გაბატონებულმდგომარეობას. „ჩვენდა ცხოვრება კარგად აყალიბებს საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის განმაპირობებელი ეროვნული ცნობიერების ასპექტებს.ქართველობის ეკონომიური საკითხის მთავარი მხარე ის კი არ არის რომ ჩვენ ღარიბები ვართ, არამედ ის თუ რატომ ვართ ღარიბები-ღარიაბი არა როგორც კერძო ადამიანები, ან სოციალური კლასები, არამედ ხალხი,ეთნოგრაფიული ანუ ნაციონალური ერთეული,როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ჩვენს საერთო ეკონომიკურ სიბეჩავეს.“ცვენს ეკონომიკურ სისუსტეს მრავალგვარი მიზეზი და საფუძველი აქვს, მაგრამ თუ მათ სათითაოდღა ვაკვირდებით, დავინახავთ,რომ თითქმის ყველა ამ კერძომიზეზებს ერთი მთავარი,დართო შინაარსისა და უფრო ზოგაი მნიშვნელობის გარემოება შეიცავს:ეს გარემოება არის შემდეგი:ქართველობა თავის პრაქტიკული საქმიანობითა და შინაგანი პსიხიკით,დღესაც ვერ შეწყობია და ვერ შეგუებია თანამედროვე მოქალაქეობრივ ანუ კაპიტალისტურ ცხოვრების აზრსა და მოთხოვნილებას. წესი ჩვენი საქმიანობისა და ხასიათი პსიხიკისა იმ გვარია, რომ სრულებით არ შეესაბამებაკაპიტალისტურ დროის არც საქმიანობასა და არც პსიხიკა [გოგიჩაიშვილი 1905].

ფ. გოგიჩაიშვილი იკვლევდა არა მხოლოდ საქართვე- ლოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებას, კერძოდ, აგრარულ ურთიერთობათა საკითხებს. ამიერკავკასიაში მე-20 საუკუნის დასაწყისში ფეოდალურმემამულური საკუთრება კვლავ გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა. ამიერკავკასიის ხუთივე გუბერნიის (თბილისის, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ბაქოს, ერევნის) მიწების 70,8 % ხაზინისა და კერძომფლობელ მემამულეთა სარგებლობაში იყო. დანარჩენი მიწა, რაც მთელი ფონდის 29,2 %-ს შეადგენდა, მოდიოდა მოსახლეობის ძირითად მასაზე _ გლეხობაზე. სახელდობრ, სახაზინო გლეხებს ეჭირათ 23,7%, „დროებით ვალდებულთ“ _ 1,4% და მემამულე- თა მიწებზე მჯდარ გლეხებს _ 3,9%.

საქართველოში კერძო მფლობელთა დიდი უმრავლესობა წვრილ მემამულეებს წარმოადგენდა. საქართველოში 11.864 წვრილ თავადაზნაურულ მემამულეს ეკუთვნოდა 305 ათასი დესეტინა მიწა, ხოლო 671 მსხვილ მემამულეს _ 570 ათასი დესეტინა. ამავე დროს 33 უმსხვილეს მემამულეს, რომელთა მფლობელობის მოცულობა 6.000 დესეტინას აღემატებოდა, ეკუთვნო- და 824 ათასი დესეტინა, ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც მთელ დანარჩენ თავადაზნაურობას, რომელთა რაოდენობა 12.535 შეადგენდა. აქედან ჩანს, რომ ადგილ-მამული საქარ- თველოს თავადაზნაურობას შორის არათანაბარზომიერად იყო განაწილებული[გუგუშვილი 1973, გვ 58-62]

ფილიპე გოგიჩაიშვილის შრომებში არ მოიპოვება ზუსტი სტატისტიკური ინფერმაცია, საქართველოდან გადინების შესახებ.მაგრამ სხვადასხვა ინფორმაცია მთის ზონების დაცარიელების, საგარეუბნო ზონების,“ურბანიზაციის“და ქვეყნის სანედლეულო ბაზის დანამატად გადაქცევის შესახებ მეტყველებს იმაზე რომ,გლეხობა იძულებული იყო სამეურნეო პროცესების საპირისპირო მხარე ემოძრავა.ემიგრაციის გაძლიერება ხელს უწყობდა ეროვნული „ფუძის“ მოშლას,რაც კოლონიური რეჟიმის მიზანს წარმოადგენდა.

ფ. გოგიჩაიშვილი 1904 წელსჟურნალ „მოამბეში“გამოქვეყნებულ კვლევაში „ჩვენი ეკონომიკური გაჭირვება“ მიუთითებდა: „სასოფლო სამეურნეობაში მიწა არის უმთავრესი სახსარი წარმოებისა.ამიტომ მეურნესთვის იგი არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს.მიწის ნაყოფით მან უნდა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი,უნდა ირჩინოს თავი, გადაიხადოს სახელმწიფო თუ საზოგადო გადასახადები და აწარმოოს თავისი მეურნეობა. ხალხის მოთხოვნილება ყოველთვის ერთ დონეზე არ დგას,იგი ყოველთვის იცვლება და ვითარდება. ერთის მხრივ მიმოსვლის გაადვილებისა და მეორე მხრით ვაჭრობისა და ხელოსნობის გავრცელების გამო ხალხი ეცნობა ყველა იმნაწარმოებით,რომელნიც თანამედროვე კულტურას წარმოადგენდნენ და ეჩვევა კიდეც მათ ხმარება. მას უჩნდება ბევრი ახალი კულტურული მოთხოვნილებანი, რომლებიც ძველად არ იყო და ამიტომაც არც დაკმაყოფილებას საჭიროებდა.

ფ. გოგიჩაიშვილი მიუთითებდა რუსეთის კოლონიური რეჟიმის ბატონობის შედეგად გამოწვეულ სურსათის დეფიციტზე, კაბალების ახალი ფორმების გაჩენაზე და გლეხ- თა გაჩანაგებაზე. რუსეთის აგრარული პოლიტიკა ძირს უთხრიდა ეროვნულ მეურნეობას. იმ დარგებში მუშაობით, როგორიც იყო მებამბეობა, მეთამბაქოეობა და ა. შ. გლე- ხობა უფრო მეტ შემოსავალს ღებულობდა, ვიდრე იმ დარ- გებში, როგორიცაა სიმინდის წარმოება, მებოსტნეობა, მეცხოველეობა და ა.შ. მაგრამ აქედან მიღებული შემოსავ- ლის დიდი ნაწილი მეტროპოლიური სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. რაც ეროვნული მეურნეობის მნიშვნელობის თანდათანობით დაკარგვაზე მიუთითებდა. გლეხთა მონა- წილეობა „კოლონიური მიწათსარგებლობის პროგრესში“ აუარესებდა საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას და საბოლოოდ მათ ემიგრაციისკენ მიერეკებოდა.ფ. გოგიჩაიშვილი ახასიათებდა იმ ძირითად ფორმებს, რომლებსაც სავაჭრო კაპიტალი და მევახშეობა იღებდა. ყველაზე მარტივი ფორმა იყო ვაჭრობის მიერე ხელოსნისგან საქონლის ყიდვა. თუ ადგილობრივი შემსყიდველი ერთადერთი იყო, ვისთვისაც ხელოსანს ნაწარმის მიყიდვა შეეძლო,მაშინ შემსყიდველი სარგებლობდა მწარმოებელთა შემცირებული უპირატესობით.აქ წარმოიშვა სავაწრო კაპიტალის მე-2 ფორმა მისი შეერთება მევახშეობასთან:გლეხი, რომელსაც ფული სჭირდებოდა,სესხად იღებდა შემსყიდველისგან ფულს და შემდეგ ვალში აძლევდა თავის საქონელს, ამ შემთხვევაში საქონლის დასაღება ხდებოა ხელოვნურად შემცირებულ ფასში, რაც განაპირობებდა გლეხის მოწვეტას მიწთმოქმედებასთან.მე-3

ფორმა იყო ნაწარმში ანგარიშის გასწორება საქონლით. რაც საქართველოში გავრცელებული ფორმა იყო. . სავაჭრო კაპიტალის მე-4 ფორმა არის ვაჭრის მიერ ანგარიშის გასწორება იმ საქონლით, რომელიც სჭირდება შინა მრეწველს ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო კაპიტალიზმის განვითარებაში.

2.1.8 მხატვრული და ეკონომიკური დისკურსის კორელაცია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში

ეკონომიკური საკითხებისა და მიძღვნილ მის პუბლიცისტურ წერილებში ხშირად ფიგურირებს ინგლისი,ბელგია თუ ამერიკა,სადაც სწორედ შრომის სწორი ორგანიზების ხარჯზე გადარჩენილან,სამოქალაქო საზოგადოების მკვიდრი საფუძვლები ჩაუყრიათ.ცხადია,თეიმურაზმაც, რომლის „მსუბუქიკალამი“ ამ თემასაც

სწვდებოდა,კარგად იცის შრომის ფასი, სრომის არ ტანჯვად, არამედ სასიამოვმნო მოვალეობა და აღქმის მნიშვნელობა.იცის,თუმცა თვითონ ყოფით, ყოველდღიურობაში,სრულუუნარობას იჩენს.კონტრასტი,რომელიც მთელი რომანის მანძილზე ნაკაცარის თეორიულსა და პრაქტიკულ მომზადებას შორის იგრძნობა, ქართული ინტელიგენციისათვის მწერლის მიერ გამოტანილი ვერდიქტის მხატვრულინ ტრანსფორმაციის ფორმად აღიქმება,რომელმაც გარკვეულ დრო სივრცულ არეალში „ჯაყოობის“შეუცვლელი სტიმულატორის ფუნქცია შეასრულა.სამწუხაროდ,ამ რომანში ოთარაანთქვრივისა და მისი მეუღლისათვის დამახასიათებელი შრომის უნარიანობის,გიორგისათვის კი საბედისწეროდ ქცეული ნამუსიანი გარჯისთვის ადგილი აღარ არის. იგი ბოლშევიკური „ნგრევისშენებას“ ჩაუნაცვლებია რაც სავსებით ამართელბს ზაზა ფირალიშვილის მოსაზრებას „თათქარაძეობის“იგივე ცრუ საქმიანობის მსგავსი თვისებების მქონე სოციალიზმით ჩანაცვლების შესახებ: „თათქარიძეობა სოციალიზმა ჩაანაცვლა“ [ფირალიშვილი 2005,გვ,205] მაშ სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი?

მი./ჯავახიშვილი თვალნათლივ ხედავდა სოციალ-დემოკრატების „მოღვაწეობის“შინაარს,იმას,თუ როგორ „მღვრიე ნაკადად შეერივნე“ ისინი ქართული ცხოვრების რის ვაი-ვაგლახით დაძრულ მდინარებას და აქცენტს,თავისი დიდი წინა მორბედების მსგავსად კერძო საკუთრების ხელშეუხლებლობაზე აკეთებს.აქაც იგივე ამბავი ალენტურობაა:მამული,როგორც ეკონომიკური ფაქტორი და მამული, როგორც.

საქართველოს ისტორიით დაინტერესებული უცხოელი მეცნიერი ჯეფრი ჰოსკინგი წიგნში „რუსეთი ხალხი და იმპერია“ (1955-1917 წწ.) შენიშნავს: „თავიანთი უფლებების ბოლომდე მიყვანაში ქართველებს განუვითარდა თავისებური ფორმა ნაციონალიზმისა,რომელიც რა გინდა პარადოქსულიც არ უნდა იყოს დაფუძნებულია მარქსიზმზე...მარქსიზმი პასუხობდა მათი ინტერნაციონალურ და თავისებური ფორმა ნაციონალიზმისა,რომელიც რა გინდა პარადოქსულიც არ უნდა იყოს დაფუძნეული იტო მარქსიზმზე. ჯავახიშვილის ზემო დამოწმებული წერილიდან,კარგად ხედავს

ერთსულოვან გატაცებს სოციალისტური იდეებით.. რაც საქართველოს ანიმალიური მდგომარეობის გამოვლინებად მიიჩნია.

მიხ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკაში, „მოქალაქეობრივი თავისუფლებისა და ეკონომიკური განვითარების“.. მყარ ორიენტირადაა წარმოდგენილი. მთავარი იყო გლეხი რევოლუციური ანუ ბრძოლებში არ შეეტყუებინათ. მას უპირველესად საკუთარ მიწასთან კავშირისა და მიწისათვის უნდა ებრძოლა. მწერალი საგანგებოდ იმართავს ირლანდიელი გლეხების თავდადების მაგალითებს გამოვლენილს კანონს დაქვემდებარებული და ინგლისელი ლენდონერების თავნებობისაგან მიწის თავისუფალი განკარგვის უფლებების მოპოვებისათვის გამართულ ბრძოლაში.

სწორედ ამიტომ მიხ.ჯავახიშვილის წერილი „აგრარული რეფორმებიირლანდიაში“ თავისუფლებისაათვის ბრძოლის მანიფესტით იკითხება.

„ჯაყოს ხიზნებში“წარმოდგენილი გლეხები კი მას შემდეგ, რაც თეიმურაზმისაგან“ჩვენებური ნეხვის“ შენახვის შესახებ სასურცელ ინფორმაციას ვერ იღებენ,ადვილადერთვებიან ახალი საბჭოთა ადამიანის მიმიკრიულ ორომტრიალში და დაყოსა და „ჯაყოობასთან“.“ნინიკასა“ და „ნინიკოობასთან“ ადვილად მისასვლელ გზებს ეძებენ. ის თუ როგორ მოსწყდა გლეხი მიწას და როგორ დაადგა ცრუ საქმიანობით,ძველი უპრინციპობით გატკეპნილ გზას შთამბეჭდავადაა აახული მოგვიანებთ შექმნილ მოთთხრობაში „დამპატიჟეში“ მიხ.ჯავახიშვილის ეკონომიკური და ლიტერატურული დისკურსიის კონცეპტუალურო ერთიანობა, სხვათაშორის აბათილებს ამ ბოლოდროს დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქარლი მწერლობა მითო-პოეტური ცნობიერების გენერაციის საშუალებად განიხილება.გამოდის, რომ ჩვენ სრულყოფილად არ ვიცნობთ ჩვენსავე კლასიკას. მიხ.ჯავახიშვილი მიუხედავად,იმისა რომ ყველა დროისთვის უხერხული ავტორია, ტექსტისა და მკითხველის სწორედ ამგვარი ურთიერთის საშუალეებას იძლევა.

უსასრულოდ შეიძლება მოინახოს მასალები ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში, რომელიც მსჯელობს ეკონომიკურ პრობლემებზე და ცდილობს შეიტანოს საზოგადოებაში მეტი განათლება

ეკონომიკური თუ ფინანსური საკითხების ცოდნასა და იმ პერიოდის მოთხოვნებიდან ცხოვრებაში დამკვიდრებაზე, რათა ქვეყნის მოსახლეობა უფრო თავისუფლად სუნთქვდეს და ,,თავი მისი მასვე ეყუდნებოდეს”.....

ჩვენს მიერ შესასწავლი საკითხების ახსნასა და მათეულ გაგებას შევხვდებით ლავრენტი არდაზიანის, ავქსენტი ცაგარელის,დიმიტრი ჯანაშვილის და სხვათა მიერ შექმნილ ნაშრომებში, რომლებსაც სხვადასხვა მოსაზრებებით თუ მზა რეცეპტების სახით აქვთ შეხედულებები საზოგადოების ეკონომიკური აზროვნების აუცილებლობაზე.

თავი 3. დამოუკიდებელი კვლევა საზოგადოების ფინანსური წიგნიერების მდგომარეობის შესახებ

3.1 მზადება კვლევა

ნაშრომის დამუშავების პროცესში მოვიძიე უამრავ მეცნიერთა აზრი ფინანსური განათლების შესახებ, რისთვისაც მიზანშეწონილად მივიჩნიე ზოგიერთი მათგანის წარმოდგენა ნაშრომში და ჩემთვის ერთგვარი სტიმულის მომცემი ჩამეტარებინა კვლევა:

1. ფინანსური წიგნიერება ისევე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში, როგორც ყველა სხვა ფუნდამენტური საფუძველი [ჯონ.რ.როჯერსი]
2. მოგებისაკენ სწრაფვა მნიშვნელოვანწილად გამორიცხავს მფლანგველობას [ლ.ბალცეროვიჩი]
3. ფული უნდა მართო, და არა ემსახურო მას [სენეკა]
4. არც ცოდნა, არც აზროვნება არ იწყება სრული ჭეშმარიტებით...,აზროვნება არ იქნება საჭირო, რომ მზა ჭეშმარიტებანი არ არსებულიყო [ა.გერცენი]
5. ფინანსისტები ისე ეხმარებიან სახელმწიფოს, როგორც თოკი ეხმარება ჩამოხრჩობილს [შ.მონტესკია]
6. თუ გინდა რომ ყოველივე დაიქვემდებარო, თვით შენ დაექვემდებარე გონებას [სენეკა]
7. ვისაც ფინანსები მხოლოდ ფულად მიაჩნია, ის ხედავს მარტო შედეგს და ვერ ამჩნევს ძირითადს [პასელიე]
8. უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის, ყმაა ფულიანისა [ილია ჭავჭავაძე]
9. ფინანსების სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა ,,ქეშ ფლოუ", ხოლო მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა - ,,ლევერიჯი" [რობერტ ტ.კევესიკი]
10. ეხლანდელ დროში ცოდნა ტველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად ჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია [ილია ჭავჭავაძე]

დღესდღეისობით, რომ გავიგოთ თუ როგორია საზოგადოების აზრი ფინანსურ წიგნიერებასთან დაკავშირებით, ან კიდევ, საინტერესოა, როგორ იზომება ფინანსური განათლება? ეს ხდება ჩვეულებრივ, კვლევების მეშვეობით, რომელშიც შეკითხვებია

დასმულიეკონომიკის რაობის, მეწარმეობის, მოთხოვნის, ფინანსების, რთული პროცენტის, რეალური საპროცენტო განაკვეთითს, რისკის დივერსიფიკაციის და სხვათა შესახებ.

გადავწყვიტე გამეკეთებინა ონლაინ გამოკითხვა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 160 სხვადსახვა ასაკის და პროფესიის ადამიანმა.

3.2 წარმოდგენილია კვლევის ანგარიში:

კითხვა რა არის ფინანსები?



(სურ-6)

კითხვა: როგორ გესმით რისკის დივერსიფიკაცია?



(სურ-7)

კითხვა: რა არის პროცენტი?



(სურ-8)

კითხვა: რა არის ინფლაცია?



(სურ-9)

კითხვა: რა არის დაზღვევა?

სავარაუდო პასუხები:

1- რისკის მართვის ფინანსური სერვისი

2- შემოსავლების მიზნობრივი განაწილება



(სურ-10)

შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

კითხვა: ეკონომიკაშეიძლებაგანვსაზღვროთ, როგორცმეცნიოერება:

ა) ბიზნესისშესახებ25%

ბ)იმისშესახებ, თუროგორგანაგებსსაზოგადოებასაკუთარშეზღუდულრესურსებს31%

გ) ცენტრალურიდაგეგმვისშესახებ 27%

დ) სახელმწიფორეგულირებისშესახებ 17%

კითხვა: მოთხოვნაარის

ა) საქონლისდამომსახურებისყიდვისშესაძლებლობა19%

ბ) საქონლისდამომსახურებისყიდვისსურვილი 34 %

გ) განსაზღვრულპერიოდშიკონკრეტულფასად, კონკრეტულისაქონლის, ანმომსახურებისყიდვისსურვილი 33 %

დ) განსაზღვრულპერიოდშიკონკრეტულფასად,კონკრეტულისაქონლისანმომსახურებისყიდვისსურვილი, გამყარებულიშესაბამისიგადახდისუნარით 14 %

კითხვა: მოქმედებს თუ არა თქვენს ფინანსურ საქმიანობაზე საქართველოს საკანონმდებლო სივრცე

დიახ 17 %

არა 35 %

ნაწილობრივ 48 %

კითხვა: იცნობთ თუ არა, რომელიმე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს რომლებიც საკუთარ შემოქმედებაში მსჯელობენ ფინანსურ საკითხებზე?

გამოკითხულთა ნაწილი ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძე საუბრობს ხშირად თავის შემოქმედებაში, მიხეილ ჯავახიშვილი;ნიკოლოზ ბარათაშვილი; გრიგოლ ორბელიანი;ვაჟა ფშაველა; სულხან-საბა ორბელიანი; აკაკი წერეთელი; კონსტანტინე გამსახურდია;აკაკი წერეთელი; ალექსანდრე ჭავჭავაძე; იოანე საბანისძე; შოთა რუსთაველი. ნაწილმა საერთოდ არ იცის, ნაწილს არ ახსოვს.

საქართველოსმოსახლეობისდაბალიფინანსურიწიგნიერებისდონისძირითადწყარ ოდშეგვიძლიაგანვიხილოთჩვენიქვეყნისსაბჭოთაწარსული. 70 წლისმანძილზესაქართველო ცხოვრობდასისტემაში, სადაცეკონომიკისდაგეგმვახდებოდაცენტრალურად,ხელისუფლებისმიერ. ასეთსისტემაში, მოსახლეობასარუწევსეკონომიკური გადაწყვეტილებებისმიღება, რადგანამასთავადსახელმწიფოაკეთებს. 90-იანიწლებიდან,აღარვცხოვრობთსისტემაში, სადაცვინმეგანსაზღვრავსჩვენსბედს, ვინაიდანქვეყანაგადავიდასაბაზროეკონომიკისმოდელზე, თუმცაჯერჯერობითვერმოხერხდა საზოგადოებისცნობიერებისსრულიგადმოწყობაახალრეალობაზე. პრობლემა განსაკუთრებითეხებაიმთაობებსრომლებიცსაბჭოთაგანათლებისსისტემისრეჟიმშია ღიზარდნენდარომლებიცდღესდღეობითაქტიურისამუშაოძალისუდიდესნაწილსწა რმოადგენენ. უკეთესიმდგომარეობაააახალგაზრდებისსეგმენტში რადგან ახალ თაობას უკეთ ესმის ფინანსური წიგნიერება და აქტუალურად იყენებს მას.

დასკვნა

ფინანსურ განათლებას შეუძლია პოზიტიური როლი შეასრულოს ძლიერი, ჯანსაღი და ეფექტიანი ფინანსური სისტემის შექმნის საქმეში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური კრიზის დროს. სწორედ, 2008-2009 წლის გლობალური ფინანსური კრიზის შემდეგ მოხდა გაცნობიერება, თუ რა როლს თამაშობს ინდივიდი, როგორც მომხმარებელი, ეროვნული ფისკალური და ეკონომიკური მდგრადობის საქმეში. ფინანსური წიგნიერება საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს რაციონალური ფინანსური გადაწყვეტილებები,რითაც დაეხმარება საკუთარ თავს და,ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ხელს უწყობს მთავრობას. არ შეუშინდეს მისდამი სახალხო მხარდაჭერის შესუსტებას, არაპოპულარული და გრძელვადიან შედეგზე გათვლილი რეფორმების განხორციელებას. აღნიშნული კი, ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და პროგრესის ერთადერთი წინაპირობაა.

მიმდინარე ეკონომიკური გამოწვევების ფონზე,მოსახლეობის მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რაც უფრო დროულად მოხდება სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური განათლების მნიშვნელობის გააზრება და ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაზე მუშაობის დაწყება, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში, აუცილებელია განისაზღვროს, სად ვართ ამ ეტაპზე და სად გვინდა აღმოვჩნდეთ მომავალში. უნდა გამოიკვეთოს რა მიმართულებებით არსებობს ფინანსური კომპეტენციების სიმწირე საზოგადოებაში და შემუშავდეს პროგრამები კონკრეტული სოციალური ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით. აგრეთვე დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი რესურსები, რაც ქვეყანას გააჩნია. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სტრატეგიის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების სწორად არსებული რესურსების გაძლიერებით უნდა დაიწყოს. რესურსებში იგულისხმება, როგორც ადამიანური

კაპიტალი, საგანმანათლებლო რესურსები და ხარისხები, ასევე ფინანსები, რომელიც სტრატეგიული აქტივობებისთვის არის საჭირო. ფინანსური რესურსების თვალსაზრისით, შესაძლებელია მათი მობილიზება სამთავრობო ფონდებიდან. შესაძლებელია, აღნიშნულ ფონდებში კვოტის გამოყოფა ფინანსური წიგნიერების ამაღლებისთვის.

აღნიშნულ ფონდებშ კვოტის გამოყოფა ფინანსური წიგნიერების ამაღლებისთვის. სხვა ქვეყნის მაგალითზე,ფინანსური წიგნიერების სტრატეგიული პროგრამების და ფინანსებს უზრუნველყოფენ ეროვნული ბანკები, ფინანსთა სამინისტროებივ და მსხვილი კერძო კომპანიები.

მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ყველა ფაქტორი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ფინანსური წიგნიერების სისტემის შექმნასა და განვითარებაში. აქტორების ჩართვა როგორც სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ასევე პროგრამების განხორციელების ნაწილში, შექმნის რესურსების მობილიზებისა და უკეთ გამოყენების შესაძლებლობას.მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილებების, განსაკუთრებით კი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების შესწავლა.

ევროპულ კომისიას საკმაოდ კარგი რესურსები გააჩნია ამ თვალსაზრისით.ყოველივე ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცესთან ინტეგრაციის კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგოიძე ვ. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, თბ, 1962
2. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკიის ეკონომიკურიგანვითარება XIX-XX სს ტ.I
3. გუგუშვული პ. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ,IV 1979
4. ვანიშვილი ვ. ნოზაძე მ. გოცირიძე ლ. ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით, თბ., 2010
5. თაბუაშვილი ა. ერეკლე II-ის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, დისერტაცია, თსუ-ს ისტორიის კათედრა 2010
6. იოსელიანი ა. ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები თბ,1961
7. კაკულია რ. ფინანსების თეორია თბ., 2016
8. რატიანი პრ. ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალური პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 1954.
9. თ.ღლონტი, ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა,
10. ი.ჭავჭავაძე. თხზ., ტ VII, 1956.
11. ი ჭავჭავაძე.თხზულებათა სრული კრებული ტ.6.თბ 1956
12. ი.ჭავჭავაძე.ნაწერების სრული კრებული. ტ.5.თბ., 1927
13. ჭავჭავაძე ი1881:ჭავჭავაძეი.,შინაურიმიმოხილვა(XI)თხზ. სრული კრებული, ტ.5, თბ.1881
14. ეკონომიკური კონცეპტები ქართულ ხალხურ პროზაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-ან წლებამდე-შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2017
15. · Starcek,S.Trunk,A.Themeaningandconceptoffinancialeducationinthesocietyofeconomicchanges. Interna tionalconferenceproceedings.2013..

16. Боди З., Мертон Р., Финансы. пер. с анг.. Издательский дом «Виль- ямс», М. С-ПБ., Кисв, 2000, стр. 38